საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 17 ივნისი, 2014 წელი.

№115 (7496)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვერი სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყვეოა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

დემოკრატიული არჩევნები და აბოზოქრებული ნარჩენები ③

„ერანაირი შედეგები ხალხს სიკეთეს ② არ მოუტანს“...

ენგურს გაღმა: კრიზისი ⑤ დასრულდა?

ამოუცნობი ნაცნობი... ⑮

რობერტ სტურუა: ფეურთხის კი არა, ② ყველაფრის ღირსი ხარ, უბადრუკო!



სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ④ ევროპაში

რა ოდენობის ④ თანხაა საჭირო ბედნიერებისთვის?

რა საიდუმლო კავშირი არსებობს ფულსა და ბედნიერებას შორის...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ პოზიცია

რობერტ სტურუა: ფურთხის კი არა, ყველაფრის ღირსი ხარ, უბადრუკო!

რეჟისორი, რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რობერტ სტურუა არჩევნების პირველად შედეგებს სოციალური ქსელის მეშვეობით შემდეგი პოსტით აფასებს:

„ნაწყენი საქართველო არჩევნებზე არ გავიდა, აბა რა:

1. ორი წელი გავიდა და ფული არავინ დაურიგა;

2. ბინები არ მისცეს;

3. ბიზნესმენებს აღარ იჭერენ;

4. მოსავალი ისევ თვითონ უნდა მოიყვანოს;

5. აღარავინ არბევს;

6. ქარხნები ისევ დგანან: არავინ უშენებს;

7. ცოლები ისევ დაუკმაყოფილებელი დაბოდიალობენ;

8. არავინ არავის იჭერს!

9. კაცების გაუპატიურება შეწყდა!

ამაზე „ოცნებობდა“ ერი?!

ფურთხის კი არა, ყველაფრის ღირსი ხარ, უბადრუკო!

ნუთუ ისევ უცდი სამხრეთელ პრეზიდენტს, ისევ დედა რომ მოგ...ს?

მაშინ სასწრაფოდ ჩეჩმაში, ისტორიის ჩეჩმაში ყოფილა შენი ადგილი.

გული მტკივა...

შენ კი გიხარია...

ნაწყენი...“

— წერს რობერტ სტურუა

რატომ გაითიშა საარჩევნო უბანზე შუქი?

„თელასის“ ინფორმაციით, ჩულურეთის რაიონის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში განთავსებულ 27-ე საარჩევნო უბანზე, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა დაუდგენელი პირის მიერ ელექტროენერგიის ადგილობრივ გათიშვას.

ამის შესახებ „თელასის“ განცხადებაშია ნათქვამი, სადაც კომპანია არჩევნების დღეს რიგ საარჩევნო უბნებზე სინათლის ჩაქრობის მიზეზებს განმარტავს.

— მასმედიის საშუალებით ვრცელდება ინფორმაცია, რომ არჩევნების დღეს თბილისის რამდენიმე საარჩევნო უბანს ელექტრომომარაგება შეუწყდა. ამასთან დაკავშირებით გვინდა განვმარტოთ, რომ 2014 წლის 15 ივნისს, დღის საათებში „თელასის“ გამანაწილებელ ქსელში ადგილი ჰქონდა 5 ავარიულ გამორთვას, აქედან 2 შემთხვევა იყო სხვა ორგანიზაციის მიერ მიწის სამუშაოების წარმოების დროს „თელასის“ კაბელების მექანიკური დაზიანება, რის გამოც ისნისა და საბურთალოს რაიონების მცირე ნაწილს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. ელექტროენერგიის მიწოდება აღდგენილი იქნა ერთიდან 3 საათის განმავლობაში. ჩულურეთის რაიონის ერთ-ერთ საბავშვო ბაღში განთავსებულ 27-ე საარჩევნო უბანზე ელექტროენერგიის შეწყვეტის მიზეზი შიდა ჩამრთველის გათიშვა იყო. აღნიშნულ უბანზე „თელასის“ ქსელში არანაირი დაზიანება არ ფიქსირდებოდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ადგილი ჰქონდა დაუდგენელი პირის მიერ ელექტროენერგიის ადგილობრივ გათიშვას. დაზიანების გამო ადგილი ჰქონდა მომხმარებლებისათვის ელექტროენერგიის შეწყვეტის ორ ფაქტს ნაძალადევისა და ვაკის რაიონების მცირე ნაწილში, სადაც განთავსებულია მე-11, მე-12 და 50-ე საარჩევნო უბნები. აღდგენითი სამუშაოების და სარეზერვო კვების საშუალებით ელექტროენერგია მიწოდებული იქნა ნაძალადევის რაიონში ავარიიდან 20 წუთში და ვაკის რაიონში — 30 წუთში, — ნათქვამია „თელასის“ განცხადებაში.

კომპანიის ინფორმაციით, რთულ დაზიანებას ჰქონდა ადგილი ბოგდან ხმელნიცკის ქუჩაზე, სადაც განთავსებულია ისნის რაიონის 35-ე საარჩევნო უბანი.

მეორე ტური ივლისის ბოლოს გაიმართება

როგორც ცესკოს პრესსპიკერმა ეკა აზარაშვილმა განაცხადა, მეორე ტური საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით საკმაოდ რთული პროცედურაა.

— კანონმდებლობით არჩევნების დღიდან არაუგვიანეს 24 დღისა უნდა შეჯამდეს თვითმმართველობის არჩევნები, თუმცა ზოგადად, შეჯამების ვადები განსხვავდება თბილისისა და სხვა ოლქების შემთხვევაში. ზოგადად, საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 3 დღეში უნდა დაინიშნოს მეორე ტური, დანიშვნიდან ორი კვირის ვადაში კი უნდა გაიმართოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება გასაჩივრებული შემაჯამებელი ოქმი. თუ შემაჯამებელი ოქმი გასაჩივრდა, გასაჩივრების ვადები და წესები, რომელიც ასევე გაწერილია საარჩევნო კანონმდებლობით, აუცილებლად უნდა იყოს ამოწურული, ვიდრე მეორე ტურის დანიშვნა მოხდება. შექმნილ ვითარებაში კონკრეტულ თარიღს ვერ დაგისახელებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ეს იქნება დაახლოებით ივლისის ბოლოს, — განაცხადა აზარაშვილმა.

◎ მთავარი იმედგაცრუებაა

„არჩევნების არანაირი შედეგები ხალხს სიკეთეს არ მოუტანს“...

პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე არჩევნებისადმი თბილისელთა შედარებით გულგრილ დამოკიდებულებას მათ პასიურ პროტესტს უკავშირებს. მისი თქმით, მთელ მსოფლიოში ასეა - არჩევნებზე არ მიდიან მაშინ, როცა ხალხი ძალიან კარგად ცხოვრობს და სჯერა, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მათი კეთილდღეობა მაინც არ შეიცვლება (ასე ხდება ამერიკასა და ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში). თუმცა არის მეორე შემთხვევაც, ხალხი არ მიდის არჩევნებზე იქ, სადაც ძალიან ცუდად ცხოვრობს. მათაც სჯერათ, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მათი ცუდი ცხოვრება არ შეიცვლება.

„პასიური პროტესტი ძალიან ცუდია, რადგან ასეთ ქვეყანაში ჭირს ნამდვილი სამოქალაქო საზოგადოების შექმნა, ამას მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს. თბილისელთა პასიურობას აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. თბილისელები ცოტა ხორკლიანი საზოგადოებაა და საკაშვილსაც უმწარებდნენ არჩევნებს. ამიტომ თავსმოხვეულ, დანიშნულ მერობის კანდიდატს არ სწყალობენ.

ხალხის დაბალ აქტიურობას ნარმანია უნდა უმადლოდეს მხოლოდ ივანიშვილს, სხვას არავის. გარდა ამისა, ყველა თბილისელი ერთნაირად მაინც არ აზროვნებს. მაგალითად, ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს პირველი თაობის თბილისელია, მეოთხე თუ მეხუთე. თუმცა, თბილისელთა ძველი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელი თვლის, რომ თბილისი იმსახურებს იმას, რომ ადგილობრივი მერი ჰყავდეს. აქ დღემდე შემორჩენილია ძველი მენტალობა. ისტორიულად, სულ სომხები იყვნენ თბილისის მერები. მთავარი მაინც ის იმედგაცრუებაა, რომ არანაირი არჩევნების შედეგები ხალხს სიკეთეს არ მოუტანს“, — აცხადებს სოსო ცინცაძე For.ge-სთან საუბარში.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი არჩილ გამზარდია For.ge-სთან საუბრისას იხსენებს, რომ ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს მოსახლეობამ არჩევანი გააკეთა „არა“-ს სასარგებლოდ. მაშინდელი დაბალი აქტივობა განპირობებული იყო იმით, რომ მოსახლეობამ ყველას უთხრა „არა“. არჩილ გამზარდია

სწორედ ამ პოზიციას ინარჩუნებს დღესაც. მისი აზრით, თბილისელთა პასიურობა — ეს არის საზოგადოების მხრიდან „არა“-ს თქმა ყველა კანდიდატის მიმართ.

„ამ არჩევნებში იყო კატეგორია, რომელიც მიდიოდა და ყველა კანდიდატს ხაზავდა. საარჩევნო კოდექსის მიხედვით, მათი ხმა არ ითვლებოდა და ის ბიულეტენები უბრალოდ ბათილდებოდა. ამიტომ მათი პროტესტის ხმაც არ ფიქსირდებოდა. თბილისელთა უმრავლესობის არწასვლით გამოხატული პროტესტი ლოგიკურია. ეს იყო იმედგაცრუებული საზოგადოების წინააპათიური რეაქცია. მათ პროტესტი უჩნდებათ ყველას მიმართ და ეს არ არის პროტესტის ენერგიული ფორმა. როგორც წესი, ენერგიული პროტესტი მაშინ ჩნდება, როცა არსებობს მხარე, პოლიტიკური სუბიექტი, რომელიც მხარდაჭერით სარგებლობს. ჩვენი საზოგადოება კი არმისვლით ამბობს, რომ არსებულ რეალობაში მხარდაჭერას არავის უცხადებს“, — გვითხრა არჩილ გამზარდიამ.

რაც შეეხება რაჭა-ლეჩხუმს, მისი თქმით, ასეთი რეგიონები მცირე რაოდენობის მოსახლეობითაა დასახლებული, აქ ყველა ერთმანეთს იცნობს და კოლექტივიზმი ძალზე მაღალია, რის გამოც ლოგიკურია, რომ არჩევნებში აქტივობის ხარისხი მაღალია. თანაც, რაჭა-ლეჩხუმის ამომრჩეველთა მაჩვენებელი პროცენტულია და არა — რაოდენობრივი, მოსახლეობის რიცხოვნობიდან გამომდინარე.

ერთადერთი პროგრესული ელემენტი, რაც შეიძლება ამ არჩევნებს მოყვეს, არჩილ გამზარდიას აზრით, ისაა, რომ მეორე ტური გაიმართოს, სადაც საზოგადოება აჩვენებს, რომ ასე მარტივად არ ირჩევენ ლიდერებს. მისი თქმით, არჩევნებზე ისედაც საზოგადოების მესამედი მიდის და იქიდან კიდევ ნახევარიც არ ირჩევს სასურველ სუბიექტს. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური სპექტრი კარგად უნდა დაფიქრდეს.

მარიამ ლოლაშვილი

◎ SIC!

პატარკაციშვილების ოჯახმა „იმედის“ მენეჯმენტის შეცვლა გადაწყვიტა

რამდენიმე მედიასაშუალების ინფორმაციით, ტელეკომპანია „იმედში“ საკადრო ცვლილებები განხორციელდა. კერძოდ, საუბარია ტელეკომპანიის დირექტორის რევაზ საყევარიშვილის, გენერალური პროდიუსერის გიორგი ბახტურიძის და საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანლის ბაია ცანავას საკადრო გადაადგილებებზე.

For.ge-მ გავრცელებული ინფორმაციის გადამოწმება უშუალოდ დასახელებულ პირებთან სცადა, თუმცა, მათთან სატელეფონო კავშირი ვერ მოხერხდა, რადგან ჩვენს სატელეფონო ზარებს არც მათ და არც ტელეკომპანიის სხვა თანამშრომლებმა არ უპასუხეს.

For.ge-ს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ბაია ცანავას, რევაზ საყევარიშვილისა და გიორგი ბახტურიძისთვის თანამდებობების შეცვლა არხის მფლობელებმა გადაწყვიტეს. წყაროს ინფორმაციით, პატარკაციშვილის ოჯახმა ტელევიზიაში ცვლილებების გადაწყვეტილება ფინანსური პოლიტიკიდან გამომდინარე გადაწყვიტა და ოჯახი სამივე დასახელებული პირის ტელეკომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში გადაყვანას გეგმავს, რაც იმას ნიშნავს, რომ მათ საინფორმაციო პოლიტიკის უშუალოდ განსაზღვრა არ შეეძლებათ, ხელფასს კი სოლიდურს მიიღებენ. თუმცა ეს კიდევ ერთხელ ბადებს ეჭვს, რომ შესაძლოა, საკადრო გადაადგილებას სხვა მიზეზი ჰქონდეს.

წყაროს ინფორმაციით, ტელეკომპანია „იმედში“ საკადრო გადაადგილებაზე საუბარი დაახლოებით ორი თვეა მიმდინარეობს, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ცანავას, ბახტურიძისა და საყევარიშვილის მიერ თანამდებობების დატოვება თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებული ეგზიტპოლების გამოქვეყნებას უკავშირდება.

ელენე აბესაძე

◎ ინფორმაცია

ფილიპ დიმიტროვი და რენო სალენსი თვითმმართველობის არჩევნებს აფასებენ

როგორც ევროკავშირის ელჩი საქართველოში ფილიპ დიმიტროვმა ჟურნალისტებთან საარჩევნო პროცესის შეფასებისას აღნიშნა, ცოტა საჩივარი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ არჩევნები ექსცესების გარეშე ჩატარდა.

— სერთო ჯამში, ჩვენ უნდა დაველოდოთ ცესკოს შედეგებს, — აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა.

საფრანგეთის რესპუბლიკის ელჩის რენო სალენსის თქმით კი, საარჩევნო პროცესის მიმდინარეობა მისაღები იყო.

— ჯერ არ შემიძლია კომენტარის გაკეთება, ვინაიდან შედეგები არ გამოცხადებულა. რაც შეეხება პროცესს, ჩემი ინფორმაციით, პროცესის მიმდინარეობა მისაღები იყო. თუმცა ვიმეორებ, რომ ჯერ ზედმეტად ადრეა შედეგების შეფასება. დაველოდოთ საბოლოო მონაცემებს, — აღნიშნა რენო სალენსმა.

დემოკრატიული არჩევნები და აბობოქრებული ნარჩენები

დღევანდელი საძართველო იმ კახელს მაგონებს, მესამე ცოლი რომ დაასაფლავა, მერე ხელები მოიფშვნიტა, ჭირისუფალს და შეკრებილ ხალხს ნიშნის მოგებით გადახედა და მრავალმნიშვნელოვნად ამოიოხრა – ესეც ასე!

ერაყი ტერორისტების ტყვეობაში

სხვა ვითარებაში ასეთი რამ, ალბათ, არ დაგვემართებოდა, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების არჩევნების ინტრიგით გართულებმა გასულ კვირაში ყურადღება აღარ მივაქციეთ მეზობელ ერაყში განვითარებულ მოვლენებს: ტერორისტულმა ორგანიზაცია „ერაყისა და ლევანტის ისლამურმა სახელმწიფომ“, პირდაპირი შეტევით აიღო ნინევიის პროვინციის დედაქალაქი მოსული (ერაყის სიდიდით მეორე ქალაქი) და სიკვდილით დასჯილი პრეზიდენტის, სადამ ჰუსეინის მშობლიური ქალაქი ტიკრიტი. ტერორისტები ბაღდადის აღებითაც იმუქრებიან. უკვე ლტოლვილია პროვინციის ნახევარ მილიონამდე მცხოვრები. გავრცელებული ინფორმაციით, ტერორისტები აღჭურვილი არიან იმ საბრძოლო ტექნიკითა და შეიარაღებით, მათ შორის საბრძოლო ვერტმფრენებით, რასაც აშშ სირიის ოპოზიციას აწვდიდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ალ-ყაიდასთან დაახლოებული ეს საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაცია თავგამოდებით იბრძოდა სირიის ოპოზიციის მხარეს, პრეზიდენტ ჰაფეზ ასადის ხელისუფლების წინააღმდეგ.

პრემიერმა ნური ალ-მალიქმა პარლამენტს ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებისა და მოსახლეობისთვის იარაღის დარიგების თხოვნით მიმართა, რათა „მოსახლეობამ თავის დაცვა თვითონვე მოახერხოს“. კაცობრიობის (და მათ შორის, ჩვენს) გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, მოსახლეობისთვის იარაღის დარიგება ერთობ საშიში, ყოვლად უპერსპექტივო და ქვეყნის სახელმწიფოებრიობისთვის ძირგამომთხრელი ქმედებაა. იმაზე უარესი, ღარიბაშვილის მთავრობამ მშობლიურ თუ საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით იარაღი თენგიზ კიტოვანსა და „მის ბიჭებს“ რომ დაურიგოს.

სამწუხაროდ, ამერიკული ანტისადამ-ჰუსეინური „დახმარების“ შემდეგ ჩვენი მეზობელი ერაყის ისედაც მყიფე სახელმწიფოებრიობა, საერთოდ, ბეწვზე დაეკიდა – არსებობს დიდი შანსი, რომ მახლობელი აღმოსავლეთის ეს დიდი და მდიდარი ქვეყანა მსოფლიო ტერორიზმის ბუდედ და თავშესაფრად იქცეს. თუ ასე მოხდა, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად მომაკვდინებელი საფრთხე საქართველოსაც დაემუქრება. თუ ალაჰმა (და NATO-მ) ინება და ასე არ მოხდა, საქართველოს ძალიან სერიოზული პრობლემები მაინც შეექმნება.

კვლავ ძალიან მძიმე ვითარებაა მოძმე უკრაინაშიც. მართალია, რუსეთი ამტკიცებს, სხვის საქმეში არ ვერევი და არც ჩავერევიო (ფორმალურად არც ერევა!); დასავლეთის ქვეყნებიც თანადგომას უცხადებენ და რუსეთს სანქციებით ემუქრებიან, მაგრამ ვითარება უკიდურესად დაძაბულია - მიმდინარეობს დაუნდობელი სამოქალაქო ომი არტილერიის, საბრძოლო ჯავშანტექნიკისა და ავიაციის გამოყენებით. იქმნება ნაირნაირი პარტიზანული, პატრიოტული თუ სეპარატისტული შეიარაღებული რაზმები. ყოველდღიურად იღუპება ათობით ადამიანი. მათ შორის უმეტესობა სამოქალაქო პირია. დღემდე უკრაინაში იმყოფება საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი სააკაშვილი, რაც კარგს არაფერს უქადის კონფლიქტის მოგვარებას, უკრაინის სახელმწიფოებრიობას, საქართველო-უკრაინის ურთიერთობას თუ საერთაშორისო სტაბილურობას.

იმედია, არჩევნებში გამარჯვებული საქართველოს ხელისუფლება და მომავალი გამარჯვებების რწმენით აღსავსე ოპოზიცია ამ საფრთხეების თავიდან აცილებაზე ერთად და ერთნაირი რუდუნებით იზრუნებენ.

არჩევნები დამთავრდა, ვემზადოთ არჩევნებისთვის

გთხოვთ, სიმშვიდე შეინარჩუნოთ: მას შემდეგ, რაც ქართველმა ამომრჩეველმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა გაუგონარი უგუნურება და უპასუხისმგებლობა – ქვეყნის ბედი კიდევ ერთხელ არ ჩააბარა ლეიბორისტულ პარტიასა და მის ბელად შალვა ნათელაშვილს, ქალბატონმა ასმათ ტყაბლაძემ პოლიტიკიდან წასვლა გადაწყვიტა. არადა, ლეიბორისტული პარტიის კანდიდატს თბილისის მერობამდე ხმების სულ რაღაც 98,6 პროცენტი დააკლდა!

რას ვიზამთ, ბატონ შალვას, ეტყობა, ძალიან მოსწონს ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი. და, სხვათა შორის, არა მარტო მას.

გასულ კვირას დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ჩატარდა 12 თვითმმართველი ქალაქის მერებისა და გამგებლების არჩევნები 50-პროცენტიანი ბარიერით. ამის დამსახურებაა, რომ ბევრგან მეორე საარჩევნო ტური გაიმართება. ჩატარებული არჩევნები იმითაც იყო გამორჩეული, რომ მას საქართველოში უნდა დაემთავრებინა თვრამეტთვიანი ორხელისუფლებიანობა. უფრო პროზაულად - ხელისუფლებიდან საბოლოოდ გაეძევებინა ნაციონალური მოძრაობის ნარჩენები. თანაც, არა რევოლუციითა და ძალადობით, არამედ – დემოკრატიზმის მოთხოვნების შესაბამისად.

ნაციონალურმა მოძრაობამ ირმა ნადირაშვილის პირით ოფიციალურად განაცხადა, რომ „ბიძინა ივანიშვილმა და პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა არჩევნები თითქმის ყველა უბანზე გააყალბეს“, მაგრამ ეს თეორია რაიმე არგუმენტებით გამყარებული არ ყოფილა.

უნდა გავუგოთ „ნაცმოძრაობას“ - ჩავლილი არჩევნები მათთვის ხელისუფლებაში დარჩენისა და საზოგადოებრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების ერთადერთი შანსი იყო. არსებობს იმის დიდი ალბათობა, რომ

უმოტივაციოდ დარჩენილ „ნაცმოძრაობაში“ ერთიორად გაიზრდება სეპარატისტული განწყობა და უნდობლობა ლიდერებისადმი (ბევრი „ლიდერი“ და დამფინანსებელი ხომ ისედაც გაქცეულია ქვეყნიდან). თუ „ყოფილები“ რიტორიკას, მიდგომებსა და ლიდერებს არ შეიცვლიან, მათი ადგილი მხოლოდ ისტორიაში, იატაკქვეშეთსა და საპატიმრო ადგილებში დარჩება.

ამ დროისთვის ზუსტი სტატისტიკა ცნობილი არ არის, მაგრამ ის კი ცნობილია, რომ პირველ ტურში თითქმის ყველა საარჩევნო ოლქში, მათ შორის თბილისში, კოალიცია „ქართული ოცნება“ ლიდერობს.

არჩევნებამდე ვრცელდებოდა ინფორმაციები ზოგიერთ საარჩევნო ოლქში დაგეგმილი პროვოკაციების შესახებ, მაგრამ თუ ორიოდე შემთხვევას არ ჩავთვლით (ანაკლიაში და მარტვილის ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე), განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

არ გამართლდა ჭორები იმის თაობაზე, რომ ნაცმოძრაობა არეულობის მოწყობის მიზნით ზუგდიდში ასკაციანი „ზონდერჯგუფის“ მობილიზებას აპირებდა. მშვიდობიანად ჩაიარა არჩევნებმა მარნეულში, სადაც წინასაარჩევნოდ ვითარების დაძაბვას ნებსით თუ უნებლიეთ ხელი შეუწყვეს ნაცმოძრაობის ლიდერებმაც, „ქართულმა ოცნებამაც“, ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ხელმძღვანელობამაც და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამაც. განსაკუთრებით პროვინციულ-ანეკდოტურად გამოიყურებოდა კოალიციის ჟესტი მარნეულში საკუთარი კანდიდატის (თოფჩიშვილი) მოწინააღმდეგის (იმამყულიევი)სასარგებლოდ მოხსნის თაობაზე. საქმე ის არის, რომ ასეთ რამეს საარჩევნო კანონმდელობა არ ითვალისწინებს. ანუ არჩევნებამდე ორი დღით ადრე კანდიდატურის მოხსნა, უბრალოდ, შეუძლებელია.

მარნეული და, საერთოდ, საქართველოს ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რაიონები ყოველთვის იყო გარანტირებული საარჩევნო ხმები მმართველი ძალისთვის. „თავისიანებით“ კარგად გაჯერებული საარჩევნო გარემოს იმედად, „ნაცმოძრაობა“ ამ სტერეოტიპის დანგრევას ამაოდ შეეცადა.

ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, კარგია ეს თუ ცუდი, მაგრამ ამ არჩევნებით „ნაციონალური მოძრაობის“, როგორც პოლიტიკური ძალის, ისტორია დამთავრდა.

ასეა თუ ისე, არჩევნების წინასწარი შედეგების გამოცხადება ორივე პოლიტიკურმა ძალამ („კოალიცია“, „ნაცმოძრაობა“) იზეიმა: ერთმა – დიდი უპირატესობა, მეორემ – დამატებითი დროის შესაძლო დანიშვნა.

ამომრჩეველთა გულგრილობა და არჩეულთა გულმოდგინება

გასული კვირის არჩევნები იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მასში ამომრჩეველთა უმაგალითოდ მცირე რაოდენობამ მიიღო მონაწილეობა. ეს განსაკუთრებით თვალშისაცემი თბილისში იყო. არ ვგულისხმობ ნაცმოძრაობის წევრებს და მათ მხარდამჭერებს – ისინი საარჩევნო ურნებთან სრული შემადგენლობით გამოცხადდნენ! არ გამოცხადდნენ, ძირითადად, კოალიცია „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები.

ეს ფაქტი „ნაცმოძრაობამ“ მმართველი ძალის მიერ დანაპირების შეუსრულებლობით, ამის გამო მოსახლეობაში გაჩენილი ნიჰილიზმით, მმართველი პოლიტიკური ძალისადმი უნდობლობით ახსნა და კოალიციას უახლოეს მომავალში პოლიტიკური კრახი უწინასწარმეტყველა.

დამარცხებულმა პოლიტიკურმა ძალამ ეს თეორია, ეტყობა, გულუბრყვილოების საცთუნებლად და, რაც მთავარია, თავის დასამშვიდებლად შექმნა.

მოდი, არცთუ შორეული კომუნისტური წარსული გავიხსენოთ – ნებისმიერი დონის არჩევნებზე ამომრჩეველთა სულ მცირე 99 პროცენტი ცხადდებოდა. იმიტომ კი არა, რომ კომუნიზმი და კომუნისტები გულზე ეხატათ. იმიტომ ცხადდებოდნენ, რომ რეპრესიებისა ეშინოდათ. ამის გარდა, ასეთი ერთსულოვნება პოლიტიკურ უმწიფრობასა და უიმედობაზეც მიანიშნებს. თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში საარჩევნო ურნებთან ამომრჩეველთა 51-53 პროცენტზე მეტი არ მიდის. ვიმეორებ, ასეა მაღალი დემოკრატიის ქვეყნებში და არა კოლუმბიაში, ბელარუსში ან აზერბაიჯანში.

რახან ჩვენი მოქალაქეების დიდი ნაწილი არჩევნებზე არ გამოცხადდა, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ლიბერალური დემოკრატიისკენ სერიოზული ნაბიჯი გადადგმულა, პოლიტიკა მეორე პლანზე გადანაცვლებულა და ამომრჩევლებს არჩეულთა იმედი გასჩენიათ. რაც შეეხება „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებსა და მხარდამჭერებს, მათ უკან დასახევი გზა უკვე 2004 წლიდან მოიჭრეს და, როგორც მოგახსენეთ, ხსნას მხოლოდ ხელისუფლებაში დარჩენაში ხედავენ. ამის დასტურად თუნდაც უგულავას ან გუნიას მაგალითი გამოდგება.

ეს არის და ეს.

ოღონდ, ჩემთვის გაუგებარია, რა ამოძრავებდა ნიჭიერ, განათლებულ და პატიოსან ახალგაზრდა კაცს, დავით ნარმანიას, როცა მინისტრობაზე უარი თქვა და თბილისის მერობისთვის ბრძოლაში ჩაება. ამ ბრძოლის მოგებას ხომ მას არც მტერი და არც მოყვარე გამარჯვებაში მაინც არ ჩაუთვლის – გაიმარჯვა არა დავით ნარმანიამ, არამედ კოალიციის (ბიძინა ივანიშვილის) კანდიდატმა. არ მითხრათ, თუ ღმერთი გწამთ, ნარმანიას და კოალიციის ყველა დანარჩენ კანდიდატს შენი კეთილდღეობისთვის თავგადადების დაუოკებელი სურვილი ჰკლავსო.

ინტრიგნობაში თუ არ ჩამეთვლება, კიდევ ერთი რამ მაინტერესებს – სად იშოვის თბილისის ახალი მერი დაპირებული მილიონი ხის საყიდელ და დასარგავ ფინანსებს?

კარგი იქნებოდა, თბილისის მერობისთვის ბრძოლაში ბატონ ნიკანორს (მელიას) გაემარჯვა – მასთან გაცილებით მეტი და გაცილებით მძიმე შეკითხვები მექნებოდა.

მიხეილ დარახველიძე

◎ ალიანჩალიანი

მაისში ფულადი გზავნილების მოცულობა გაიზადა

მიმდინარე წლის მაისში ქვეყანაში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 126.4 მლნ აშშ დოლარი, ანუ 223.0 მლნ ლარი შეადგინა, რაც 11.7 მლნ აშშ დოლარით (20.6 მლნ ლარით), ანუ 10.2 პროცენტით მეტია 2013 წლის მაისის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

ეროვნული ბანკის ინფორმაციით, უცხოეთიდან საქართველოში ფულადი გზავნილების 90.5 პროცენტი იმ 9 უმსხვილეს დონორ ქვეყანაზე მოდის, საიდანაც ასეთი გზავნილების მოცულობამ მაისში 1.5 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა. იმავე 9 ქვეყანაზე გასული წლის მაისში მთელი ფულადი გზავნილების 90.2 პროცენტი მოდიოდა.

ამასთან, მაისში საქართველოდან საზღვარგარეთ 14.5 მლნ აშშ დოლარი (25.5 მლნ ლარი) გადაიგზავნა, ნაცვლად 12.2 მლნ აშშ დოლარისა (20.0 მლნ ლარისა), რომელიც გასული წლის მაისში გაიგზავნა.

ინტერპრესი

◎ წარსული და შთამომავლობა

მოგზაურობა 300 წლის შემდეგ

სულხან-საბა ორბელიანის კვალდაკვალ ევროპაში. 2



11 ივნისი

ჩვენი მოგზაურობა, ყველამ იცის, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის პროექტია და, რა თქმა უნდა, პარიზიდან გასვლის წინ მე გრიგოლ რობაქიძის საფლავზეც ავედი ლევილში. ჩემთან ერთად იყვნენ ბონდო ქურდაძე, პაატა ხარაიშვილი და მალხაზ კუპრაძე. ერთი ბოთლი ღვინო ავიტანეთ ლევილის ქართველთა სასაფლაოზე და აქ დაკრძალულ ქართველ მოღვაწეებს ჭიქა წავუქციეთ. ხარაგაულელმა მალხაზ კუპრაძემ ორი კვირის წინ დაიწყო ემიგრანტული ცხოვრება და ჩვენ სამისგან განსხვავებით ლევილში, პირველად იყო. შენს დღევანდელ შთაბეჭდილებებში ინფორმაცია მეტი იყო თუ ემოცია-მეთქი? ვკითხე. ასე ვერ გეტყვი, ის კი ვიცი, რომ ბევრი რამ ჩემს წარმოდგენაში გადაფასდაო. მართლაც, არ შეიძლება ადამიანი ლევილში ახვიდე და იქიდან ისეთივე დაბრუნდე, როგორიც მანამდე იყავი...

12 ივნისი

მთელი შვიდი საათი ვიყავი ვერსალში. სასახლეც დავათვალიერე და ბაღიც. უამრავი მასალა შევკრიბე მომავალი წიგნისთვის და ფილმისთვის. ამ ფოტოზე, რომელიც პაატა ხარაიშვილმა გადამიღო, მე ვიდეოთი ვიღებ იმ დარბაზის ერთ კუთხეს, რომელშიც ლუი XIV-მ სულხან-საბა მიიღო.

* * *

ვერსალიდან პარიზში დაბრუნებულს სასიამოვნო სიურპრიზი მელოდა. ჩემმა მეგობარმა ათანას ვანჩევ დე ტრასიმ ჩემი ლექსების ფრანგული გამოცემის პირველი ეგზემპლარები მომართვა. ათანასი თანამედროვე საფრანგეთის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი პოეტია, მსოფლიო პოეტთა მოძრაობის პრეზიდენტი. რამდენიმე თვე თარგმნიდა ჩემს ლექსებს და თავადვე გამოაცემინა პარიზში. კრებულს „ხელოვნური ყვავილები“ ჰქვია. ძალიან მოინდომა, რომ ჩემი პარიზში ყოფნისას დაებეჭდათ ჩემი წიგნი და მომისწრო კიდეც. იმ საღამოს მე, ბონდო ქურდაძემ და პაატა ხარაიშვილმა ჩემი წიგნი სენის წყალში და წითელ ბორდოში დავასველეთ. ათანასს სწორედ იმ დღეს კბილი ამოეღო და ვერ წამოგვყვა. დიდი მადლობელი ვარ მისი, ასეთი სასიამოვნო სიურპრიზისათვის.

15 ივნისი.

11 ძალაძის ჩამო(ს)ძროლვა

გუშინ თერთმეტი ქალაქი გავიარეთ: მულინი, რუანი, ლარბრელი, ლიონი, ვიენი, სენ-ვალიე, ვალენსი, ლორიოლ-სიურ-დრომი, მონტელიმარი, ორანჟი და ავინიონი. ჩვენ არ ვიცით, რამდენი დრო მოანდომა სულხან-საბამ საფრანგეთის ამ თერთმეტი ქალაქის გავლას, მაგრამ, ბუნებრივია, იგი ასე სწრაფად ვერ ივლიდა. შეიძლება ითქვას, რომ მე და ბონდომ ეს ქალაქები ჩამოვიქროლეთ. ჩვენი გვერდის მკითხველსაც შეუძლია ეს ქალაქები ჩამო(ს)ქროლვით დაათვალიეროს. საამისოდ მე თითო ქალაქიდან თითო ფოტო შევარჩიე. ასარჩევად ბევრი დრო არ მქონია, მაგრამ შევეცადე, ნაკრები საინტერესო ყოფილიყო. ზოგ ფოტოზე მარადიული რეალობაა აღბეჭდილი, ისეთი, როგორიც შესაძლოა, სულხან-საბას დროსაც ზუსტად ამგვარი იყო, ზოგ ფოტოზე — პირიქით.

დღეს 15 ივნისია. რამდენიმე ქალაქს კიდევ გავივლით ჩამო(ს)ქროლვით და ანტიბიდან საბას დღიურებს გავყვებით. სწორედ 15 ივნისიდან და ანტიბიდან იწყება „მოგზაურობის“ ჩვენამდე მოღწეული ტექსტი.

პაატა ნაცვლიშვილი

◎ მოულოდნელი რაკურსით

რა ოდენობის თანხაა საჭირო ბედნიერებისთვის?

რა საიდუმლო კავშირი არსებობს ფულსა და ბედნიერებას შორის...

ბასულ კვირას საქმიანი სოციალური ქსელის LinkedIn-ის ავტორიტეტულმა მომხმარებლებმა საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს, თუ რა ოდენობის თანხაა საჭირო ბედნიერებისთვის და რატომ არ უნდა დამალოს დასაქმებულმა თავისი ხელფასის ოდენობა.

ფელიქს სელმონი — Fusion-ის მთავარი რედაქტორი:

ფელიქს სელმონი თავის სტატიაში — „რატომ არ ღირს ხელფასის ოდენობის გასაიდუმლოება“ წერს, რომ საკუთარ ხელფასზე მოსაუბრე ადამიანების რიცხვი ძალიან მცირეა, განსაკუთრებით კი იმათ შორის, ვინც სინამდვილეში დიდ თანხას გამოიმუშავებს.

„იმდენად, რამდენადაც კომპანიებს მართავენ ადამიანები, რომლებიც დიდძალ თანხას გამოიმუშავებენ, ჩამოყალიბდა ხელფასის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის საიდუმლოდ შენახვის კულტურა“, — წერს სელმონი.

მისივე თქმით, არსებობს რამდენიმე მოულოდნელი მიზეზი, რის გამოც თქვენი ხელფასის დამალვა არ ღირს.

„უპირველეს ყოვლისა, ხელფასზე გაჩუმება ქალებისთვისაა ცუდი, რომელთაც გაჭირვებით უმატებენ ხელფასს მამაკაცებთან შედარებით. ის სიტუაცია, რომ მამაკაცები საიდუმლოდ ითხოვენ ხელფასის მომატებას და მათ ამას საიდუმლოდვე უსრულებენ, ხსნის იმას, თუ რატომ გამოიმუშავებენ მამაკაცები მთლიანობაში ქალებზე მეტ ხელფასს“, — ამტკიცებს სელმონი.

გარდა ამისა, ხელფასის გასაიდუმლოება შესანიშნავი საშუალებაა ხელმძღვანელობისთვის, უპირატესობა მიანიჭონ და გამოყონ მათი „საყვარელი“ თანამშრომლები — მიიჩნევს Fusion-ის რედაქტორი.

„დარწმუნებული ვარ, ყველას გვიმუშავია ისეთ კომპანიაში, სადაც ერთადერთი საშუალება, რომ ხელფასი მოგიმატონ ან დაგაწინაურონ, არის კომპანიის ფაქტის წინაშე დაყენება, რომ თქვენ სხვა სამსახურში გადადიხართ. უეჭველად, ეს კომპანიის მართვის ყველაზე საზიზღარი საშუალებაა — სხვა სამსახურის ძიების სურვილი დანარჩენ თანამშრომლებსაც გაუჩნდებათ და მთელ თავის დროს სამსახურის ძებნაში დაკარგავენ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ამჟამინდელი ადგილი აწყობდეთ კიდეც“, — ამბობს სელმონი..

„თუკი თქვენ მუშაობთ ისეთ კომპანიაში, სადაც ყველამ იცის ერთმანეთის ხელფასი, მაშინ თქვენ ძალიან გაგიადვილდებათ გაარკვიოთ, როგორ არის კომპანიაში ყველაფერი ორგანიზებული. ადვილად მიხვდებით, ვინ არიან „ვარსკვლავები“ და რომელი ტალანტის და მონაცემების წახალისება ხდება — დაინახავთ ქალებს უფრო მაღალი ხელფასი აქვთ, თუ მამაკაცებს და დაგეხმარებათ თუ არა სხვა კომპანიაში გადასვლის მუქარა წინსვლასა და ხელფასის მომატებაში“, მიიჩნევს სელმონი. **გარდა ამისა, რამდენადაც ხელმძღვანელობა მიხვდება, რომ დანარჩენები მაინც გაიგებენ ხელფასის შესახებ ინფორმაციას, იმდენად ნაკლები შიდაინტრიგები იქნება“.**

ბრიუს კაზანოფი, მარკეტოლოგი:

შესაძლოა, ბედნიერების ყიდვა ფულით, ან უფრო ზუსტად, გარკვეული ოდენობის თანხით მაინც შეიძლებოდეს. სწორედ ეს დასკვნა გამომდინარეობს გამოკითხვის შედეგად, რომელიც პრინსტონის უნივერსიტეტმა ჩაატარა და რომელშიც 450 000 ადამიანი მონაწილეობდა.

კვლევამ აჩვენა, რომ კეთილდღეობის ემოციური შეგრძნება მიიღწევა მაშინ, როდესაც ადამიანის საშუალო შემოსავალი წელიწადში დაახლოებით, 75 000 დოლარია, მაგრამ არა ამაზე მეტი.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, არსებობს გარკვეული ზედა ზღვარი, რომლის იქეთაც ფული აღარ არის ადამიანის ბედნიერების დონის განმსაზღვრელი — ამტკიცებს კაზანოფი.

„ინტუიციურად ჩვენ ისედაც ვხვდებით, რომ ეს ასეც უნდა იყოს. როდესაც ადამიანს არ შეუძლია ნორმალურ სახლში ცხოვრება და მას არ ჰყოფნის თანხა ოჯახის გამოსაკვებად, დამატებითი შემოსავალი მნიშვნელოვნად აუმჯობესებს მის მდგომარეობას. მაგრამ, ამასთან ძალიან იშვიათად, რომ ადამიანებმა თავიანთი ცხოვრების უბედნიერეს წუთებად ის მომენტი მიიჩნიონ, როცა მათ ყველაზე მეტი ფული ჰქონდათ. თუკი თქვენი ხელფასი გაორმაგდება და ვთქვათ, წელიწადში 150 000 დოლარი იქნება, თქვენი ცხოვრების რაციონალური შეფასება გაიზრდება, მაგრამ ხელფასის გაზრდას ყოველთვის და უპირობოდ არ მოაქვს ბედნიერება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ეს არ გახდის თქვენს საქმეს უფრო სასიამოვნოს, ხოლო ოჯახსა და ახლობლებს უფრო ახლობელს“, — წერს კაზანოფი.

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ენგურს გაღმა: კრიზისი დასრულდა?

აფხაზური გადადგომა

რა ხდებოდა კულისებს მიღმა, რას აიძულებდა ვლადისლავ სურკოვი აფხაზებს და რა ეწერა რუსეთ-აფხაზეთის ასოცირების ხელშეკრულების პროექტში? ჟურნალ „კომერსანტ-ვლასტ“-ში აფხაზეთის მოვლენების შესახებ საინტერესო მასალები გამოქვეყნდა. გთავაზობთ ამონარიდს ოლგა ალენოვას სტატიიდან:

აფხაზეთის პარლამენტის წევრი არტურ მიქვაბია ალექსანდრე ანქვაბის ნათესავია, მაგრამ ამის მიუხედავად, ოპოზიციურადაა განწყობილი: – აფხაზეთის ისტორია ციკლურად ვითარდებოდა: ვლადისლავ არძინბას დროს საქართველოსთან ომი მოხდა, იყო ბლოკადა, ამტანობა, გაძლება და დამოუკიდებლობის დაცვა გვჭირდებოდა. სერგეი ბაღაფშის დროს რუსეთმა აფხაზეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ხელი მოეწერა სახელმწიფოთაშორისო დოკუმენტებს, დაიწყო სახელმწიფოს ჩამოყალიბება. ალექსანდრე ანქვაბის წინაშე რეფორმების გატარების აუცილებლობა იდგა, მაგრამ არ შეიძლება კაპიტალისტური ტიპის სახელმწიფოს საბჭოური მეთოდებით მართვა.

მე ყოველთვის ვეუბნებოდი პრეზიდენტს, რომ რეფორმები ზევიდან ტარდება, რევოლუციები კი ქვემოდან ხდება. არ შეიძლება მუდმივად მეზობელი სახელმწიფოს იმედი გქონდეს.

– აბა, მაშ ვინ მოგცემთ ფულს, თუ არა მეზობელი სახელმწიფო? – ვეკითხები, – თქვენ ხომ საკუთარი ფინანსები არ გაქვთ? ტურისტული სექტორი განუვითარებელია, გადასახადის მსხვილი გადამხდელები არ გყავთ...

– ჩვენ საერთოდ არ გვაწყობს ასეთი მოდელი, როცა ერთი სახელმწიფო მეორეს ინახავს, – ამბობს ასლან კობახია, – არ გვინდა სხვის კმაყოფაზე ყოფნა. მოგვეცით სამი მილიარდი დოლარი 15-წლიანი კრედიტით, მცირე პროცენტით და მერე ჩვენ გადავწყვეტთ, რა ვაშენოთ, როგორ ვაშენოთ და როგორ განვავითაროთ ეკონომიკა. ჩვენ რუსეთს ზურგს არ შევაქცევთ, მაგრამ არც რუსების კმაყოფაზე ცხოვრება არ გვინდა. ნუ შექმნით ჩვენგან ასეთ ადამიანებს. ვიყოთ ნამდვილი მეგობრები. დეპუტატები თვლიან, რომ რუსულ დაფინანსებაზე დამოკიდებულება აფხაზეთს არა მარტო მოქმედებას უზღუდავს, არამედ მის მომავალსაც ემუქრება. რუსეთს რომ ფული გამოელიოს, ამით პირველ რიგში აფხაზეთი დაზარალდება. მართლაც, თუ რუსეთის მიერ ხარ უზრუნველყოფილი, მაშინ შედი რუსეთის შემადგენლობაში! თუ გინდა დამოუკიდებლობა, მაშინ ფულს ნუ აიღებ და შენით იცხოვრე!

აი, ეს ყველაზე სერიოზული დილემა დგას აფხაზური საზოგადოების წინაშე.

2010 წლიდან 2012 წლის ჩათვლით რუსეთმა აფხაზეთს, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების კომპლექსური გეგმის ჩარჩოებში, 10 მილიარდ 800 მილიონი რუბლი გადაურიცხა. კიდევ მილიარდ 800 მილიონი გამოუყო 2013 წელს. გეგმა აფხაზეთსა და რუსეთის მხარეებს შორის შეთანხმებული იყო. გადაწყდა, რომ ფული ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე დახარჯულიყო: აშენდა გზები, სკოლები, საბავშვო ბაღები, კულტურის სახლები, აუზები, სტადიონები. ალექსანდრე ანქვაბი ყოველთვის ხაზს უსვამდა, რომ სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება – ეს ერის განვითარებაში ჩადებული ფულია და ადრე თუ გვიან, დაბანდებული ფული შედეგს მოიტანს. ბუნებრივია, ინვესტორი უფრო მოვა, როცა გზები დაგებულია, სკოლები და საბავშვო სახლები აშენებულია... ალექსანდრე ხლოპონინმა (ყუბანის გუბერნატორი), რომელიც ამ თანხების ათვისების პროგრამას კურირებას უწევდა, რამდენჯერმე შეაქო აფხაზეთის ხელისუფლება ხარისხიანი მშენებლობისათვის, რომ ობიექტები 5-წლიანი კი არა, 50-წლიანი გარანტიით შენდება. ოპოზიცია კი ამბობს, რომ სკოლები და საავადმყოფოები ბიუჯეტს არ ავსებს და თვლის, რომ კომპლექსური გეგმა არასწორად ხორციელდება.

ბევრს მიაჩნია, რომ ალექსანდრე ანქვაბს კომპლექსურ გეგმაში კორექტივები უნდა შეეტანა – დაეფიქსირებინა მასში ქარხნების, ფაბრიკების, ტურისტული ობიექტების აშენების აუცილებლობა. – რუსეთმა აფხაზეთზე უკვე 12 მილიარდი რუბლი დახარჯა, მაგრამ ქარხნები არ აშენებულა. სტადიონი და აუზი კარგია, მაგრამ ბიუჯეტს ხომ შევსება ჭირდება? ეკონომიკა უნდა განვითარებულიყო, – ამბობს არტურ მიქვაბია.

დეპუტატები საუბარში მაინც ვერ მიხსნინან გასაგებად, თუ რატომ მაინცდამაინც საკურორტო სეზონის წინ მოისურვეს გადატრიალების მოწყობა. მე ვიცი, რომ ბევრი კერძო სასტუმროსა და ტურბაზის მფლობელი ასე ფიქრობს: ყირიმის მიერთების გამო რუსეთს ტურისტების ნაკადის მიმართულების შეცვლა და სოჭში და იალტაში მათი გადამისამართება სურს. ამბობენ, რომ ასეთი ამბები ადრეც მომხდარა ხოლმე – იყო დრო, როცა სოჭში ძალიან ცოტა ტურისტი ჩავიდა, რუსმა მესაზღვრეებმა მდინარე ფსოუზე რემონტი დაიწყეს და გზები გადაკეტეს, აფხაზეთში მომავალი ტურისტები კი სოჭში დარჩნენ. არ ვიცი როგორაა ამ შემთხვევაში, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთი მხრივ, აფხაზურმა ოპოზიციამ სპეციალურად შეარჩია საპროტესტო პერიოდი და ამით ახლობლებისა და ნათესავების ტურისტულ ბიზნესს ზიანი მიაყენა (აფხაზური საზოგადოება ძალიან მცირეა, აქ ყველაფერი ერთმანეთთანაა დაკავშირებული). მეორე მხრივ, თუ შენ ფულს არაფრის გამო გაძლევენ, ტურისტების გარეშეც შეიძლება ცხოვრება. აფხაზი ბლოგერი ახრა სმირი თვლის, რომ პოლიტიკური კრიზისი ჯერ არ დასრულებულა და ჰაერში „დენთის სუნი“ ტრიალებს.

პოლიტოლოგი ლიანა კვარჩელია მიიჩნევს, რომ ალექსანდრე ანქვაბს საზოგადოებაში კვლავ მრავალრიცხოვანი მხარდამჭერები ჰყავს: „იგი გლეხებს ასობით ჰექტარის ხილის ბაღების გაშენებაში დაეხმარა, ფერმერები სასოფლო-სამეურნეო კულტურების გადამუშავებაში ჩააბა... მან დიდი წვლილი შეიტანა აფხაზეთის სოფლის მეურნეობის განვითარებაში ათწლიანი წინსწრებით. გლეხებმა თავიანთი მომავალი დაინახეს“. ამასთან, ლიანა კვარჩელია აღნიშნავს, რომ ანქვაბმა ფსონი გლეხებსა და ორიოდე ოლიგარქზე დადო, ამით საშუალო ფენის ჩამოყალიბების პროცესი დაამუხრუჭა. ჰოდა, საშუალო კლასის პროტესტებმაც პრეზიდენტს მმართველობის ვადა შეუმოკლა. არის ანქვაბის გადადგომის კიდევ ერთი ვერსია, რომელზეც ძირითადად მისი მხარდამჭერები ლაპარაკობენ. ეს ვერსია კონსპიროლოგიურია და რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწის ვლადისლავ სურკოვის საქმიანობას უკავშირდება, რომელიც აფხაზეთს 2013 წლიდან კურირებს. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ პარლამენტის ყოფილმა ვიცე-სპიკერმა ნათელა აგრბამ განაცხადა, რომ „ვლადისლავ სურკოვი აფხაზეთში ყოფნის დროს ოპოზიციას უფრო მეტად ხვდება, ვიდრე ხელისუფლებასო“. ჰყვებიან იმასაც, რომ კრემლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დსთ-თან თანამშრომლობის საკითხებში მიხეილ მამონოვი ბოლო თვეების განმავლობაში საერთოდ არ გასულა აფხაზეთიდან, სულ სოხუმში იჯდა და ოპოზიციას თითქმის ყოველდღე ხვდებოდა. ეს ფაქტი ალექსანდრე ანქვაბს ძალიან აღიზიანებდა. ერთხელაც მიხეილ მამონოვს თავისთან დაუძახა, მაგრამ სპეციალურად არ მიიღო და საათნახევრის განმავლობაში მისაღებში ალოდინა. „ერთ-ერთ შეხვედრაზე ვლადისლავ სურკოვმა მიხეილ მამონოვი წარმოგვიდგინა და გვითხრა, რომ ეს კაცი აქ რუსეთის ხელისუფლებას წარმოადგენსო, – ამბობს პრეზიდენტთან არსებული საზოგადოებრივი პალატის წევრი ასიდა შაკრილი, – მაგრამ შემდეგ ეს კაცი ჩვენ საერთოდ აღარ გაგვკარებია, დროს სულ ოპოზიციასთან ატარებდა“.

„რუსეთის მიერ ყირიმის აღიარებისა და მიერთების შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია, რომ ჩვენთან სურკოვის თანაშემწე მამონოვი გამოჩნდა და დაიწყო გამოკითხვა, თუ რა აზრი ჰქონდათ პარტიებს აფხაზეთის რუსეთის შემადგენლობაში სავარაუდო შესვლასთან დაკავშირებით, - ჰყვებიან საზოგადოებრივი პალატის წევრები, - მას უპასუხეს, რომ ამ საკითხს საერთოდ არავინ არ განიხილავს. მაისის პირველ რიცხვებში მოსკოვიდან სურკოვიც ჩამოვიდა, ორი საათით პრეზიდენტს შეხვდა და ისევ უკან გაბრუნდა. რაზე ილაპარაკეს, არავინ იცის ზუსტად, მაგრამ პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომუშავე ნაცნობებმა თქვეს, რომ სურკოვმა წინადადება შემოიტანა, განხილულიყო რუსეთთან აფხაზეთის ასოცირებული ურთიერთობის საკითხი. 8 მაისს მოსკოვში აფხაზური დიასპორის ხელმძღვანელმა ტარას შამბამ ინტერვიუში განაცხადა, რომ აფხაზეთსა და რუსეთს ერთმანეთთან ასოცირებული ურთიერთობა უნდა ჰქონდეთო.

ამ ინტერვიუს ზოგიერთი აფხაზი ექსპერტი სპეციალურად „შემოგდებულს“ უწოდებს. მეორე დღეს აფხაზეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ და პარლამენტის სპიკერმა თითქმის ერთდროულად განაცხადეს, რომ არავითარ ასოცირებულ ურთიერთობაზე ლაპარაკი არ იქნება. 11 მაისს პარლამენტმაც ანალოგიური განცხადება გააკეთა, იგივე გაიმეორეს პოლიტიკურმა პარტიებმაც. ამის მიუხედავად, ვლადისლავ სურკოვმა ეს თემა მაინც წამოსწია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც საზოგადოებრივი პალატის წევრებიც ესწრებოდნენ. ასიდა შაკრილის თქმით, ვლადისლავ სურკოვმა თავისი გამოსვლა დაიწყო იმით, რომ აღნიშნა – რუსეთი ყირიმის მიერთების გამო მძიმე პოლიტიკურ მდგომარეობაში იმყოფება, მოსკოვის წინაშე დასავლეთიდან ისეთი სერიოზული გამოწვევები დგას, რომ მსგავსი რამ 2008 წელს არ ყოფილაო. ამიტომაც რუსეთი მადლობას უხდის აფხაზებს მხარდამჭერი განცხადების გაკეთების გამო უკრაინასთან დაკავშირებით.

სურკოვმა აღნიშნა, რომ სექტემბერში NATO-ს სამიტი უნდა გაიმართოს, მანამდე კი საქართველო ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას აწერს ხელს და უკრაინის მოვლენების კონტექსტში დასავლეთს შეუძლია საქართველო ყველგან მიიღოსო. და მან გვითხრა, რა საფრთხე ელოდება აფხაზეთს, ეს ყველამ უნდა გააცნობიროსო. ამიტომაც აფხაზეთისა და რუსეთის ურთიერთობა კიდევ უნდა განმტკიცდეს. მე ვუთხარი, რომ ჩვენს შორის ისედაც კარგი ურთიერთობაა, მაგრამ რადგანაც ახლა საზოგადოებრივი ინსტიტუტების განვითარების პერიოდში ვართ, ამიტომ სუვერენიტეტის შენარჩუნება ჩვენთვის აუცილებელია. სურკოვი შემეკითხა: განა რით ემუქრება რუსეთთან დადებული ასოცირების ხელშეკრულება აფხაზეთს? მე ვუპასუხე, რომ მოდით, ნუ გვაჩქარებთ ხელმოწერას, შევისწავლოთ და გავერკვიოთ. სურკოვმა კი – მთავარია, არ დაგვიანოთო. მეორე დღეს სააგენტო „აფსნიპრესმა“ გაავრცელა სურკოვის განცხადება, რომ ასოცირებული ურთიერთობის პირობებში აფხაზეთის სუვერენიტეტი ურყევი იქნება, – აღნიშნა ასიდა შაკრილმა. ორი დღის შემდეგ, როცა ოპოზიცია პრეზიდენტის ადმინისტრაციაში შეიჭრა, პოლიტიკური პარტიების საკოორდინაციო საბჭომ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმული იყო ახალი ხელშეკრულების დადების აუცილებლობა, „რომელიც აფხაზეთს რუსეთთან სტრატეგიული პარტნიორობის ახალ ეტაპზე გაიყვანს“. ამრიგად, ოპოზიციის წარმომადგენლებმა რუსეთს მიანიშნეს, რომ მათთან შეიძლებოდა ლაპარაკი აფხაზეთის რუსეთთან უფრო მჭიდრო ინტეგრაციის საკითხზე. 31 მაისს, გვიან საღამოს აფხაზეთის პარლამენტი, რომელმაც ცოტა ხნით ადრე გამართულ სხდომაზე პრემიერ-მინისტრს უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა, ისევ შეიკრიბა საგანგებო სხდომაზე არჩევნების თარიღის დანიშვნის მიზნით. დეპუტატებს მაგიდებზე დახვდათ დოკუმენტი, რომლის სახელწოდება იყო **„რუსეთის ფედერაციასთან აფხაზეთის სტრატეგიული პარტნიორობის განვითარების შესახებ“. ეს დოკუმენტი მე ერთ-ერთმა დეპუტატმა მომცა. მასში ნათქვამია, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრების პროცესის გააქტიურებისა და საქართველოს ტერიტორიაზე ალიანსის სამხედრო ბაზის შესაძლო დაარსების ფონზე“, აგრეთვე „მოსახლეობის სოციალური დაცვის სტანდარტების ასამაღლებლად, საბიუჯეტო სფეროს მოსამსახურეებისთვის ხელფასებისა და პენსიების მომატების მიზნით“ პარლამენტს წინადადება შემოაქვს შემუშავდეს ახალი ხელშეკრულება აფხაზეთისა და რუსეთის სტრატეგიული კავშირის შესახებ. ამ ხელშეკრულების ჩარჩოებში განზრახულია, გამარტივდეს და შემდეგ სრულიად გაუქმდეს საბაჟო და სასაზღვრო კონტროლი რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე, ჩამოყალიბდეს „რუსეთისა და აფხაზეთის თავდაცვისა და უსაფრთხოების საერთო სივრცე, შეიქმნას ერთიანი სარდლობა სამხედრო მმართველობის ორგანოების, შეიარაღებული ძალებისა და უშიშროების ძალების კოორდინაციისათვის“, აგრეთვე „შეიქმნას საერთო ეკონომიკური სივრცე სავაჭრო-ეკონომიკური ბარიერების გაუქმების გზით“, „გაიზარდოს აფხაზეთის სოციალური დაცვის სტანდარტები რუსეთის ფედერაციის დონემდე, ხელფასების, პენსიებისა და სამედიცინო დაზღვევის ჩათვლით“.** დეპუტატებმა უარი თქვეს ამ დოკუმენტის განხილვაზე და განაცხადეს, რომ ახლა ქვეყნის კრიზისზე მსჯელობენ, ხოლო რუსეთთან ურთიერთობა იმდენად კრიტიკული არ არის, რომ ამ საკითხზე ღამის სხდომაზე იმსჯელონ, თუმცა, ზოგიერთმა პარლამენტარმა აღნიშნა, რომ ამ საკითხს აუცილებლად დაუბრუნდებოდნენ. მომდევნო დღეს, პირველ ივნისს, ალექსანდრე ანქვაბმა გადადგომა გამოაცხადა. იმავე დღის ბოლოს „აფსნიპრესში“ მოსკოვიდან, ვლადისლავ სურკოვის მისაღებიდან დარეკეს და სთხოვეს პრეზიდენტის თანაშემწის განცხადების გავრცელება, რომლის ძირითადი არსი ის იყო, რომ აფხაზეთში ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა. ორ ივნისს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც გააკეთა განცხადება აფხაზეთში ბოლო დღეების მოვლენების, ალექსანდრე ანქვაბის მშვიდობიანი გადადგომის, მისი დამსახურების, ძალის გამოუყენებლობის, მომავალი არჩევნების მზადების და საერთოდ რუსეთ-აფხაზეთის მეგობრული ურთიერთობების შესახებ, რომელიც წარმატებით ვითარდებოდა და განვითარდება... მთავრობაში მომუშავე ერთ-ერთ ჩემს ნაცნობს ვთხოვე, კომენტარი გაეკეთებინა პარლამენტის ამბებზე, მაგრამ მან მთხოვა, მისი გვარი არ დამესახელებინა, იმედი მაქვს, რომ მას სამსახურიდან არ მოხსნიან. ჩინოვნიკმა მითხრა, რომ ეს ძალიან გაზვიადებული რთული კომბინაციებია და განა რუსეთი ამდენს იფიქრებს პატარა დანამატის – აფხაზეთის გამო? ოფიციალურად რუსეთის ხელისუფლება ვლადისლავ სურკოვისა და სხვა რუსი ჩინოვნიკების აფხაზეთის მოვლენებში მონაწილეობას კომენტრირებას არ უკეთებს.

დედამიწის ზურგზე

„ნასაში“ იმედი აძვთ, გააგრძელონ თანამშრომლობა რუსეთის ფედერაციასთან, რომელიც დაიმუძრა, უარი განაცხადოს შეთანხმების გაგრძელებაზე საერთაშორისო კოსმოსურ სადგურთან დაკავშირებით

იმის შესახებ, რომ რუსეთს არ აქვს განზრახვა, გააგრძელოს შეთანხმება, რომელიც 2020 წლამდე მოქმედებს, რუსეთის ფედერაციის ვიცე პრემიერმა დმიტრი როგოზინმა განაცხადა მაისში უკრაინაში კრიზისის გამწვავების ფონზე. საპასუხოდ „ნასას“ ხელმძღვანელმა ჩარლდ ბოლდენმა თქვა, რომ რუსეთის უარის შემთხვევაში მოინახება შემცვლელი. მართალია, საერთაშორისო კოსმოსური სადგურის ბედი დღემდე არაა გადაწყვეტილი, „ნასაში“ განაცხადეს, რომ მოლაპარაკება გაგრძელდება.

* * *

ერაყელი ბოევიკები აგრძელებენ გაღდადზე შეტევას: ხელში ჩაიგდეს ძალაძი ტალ-აფარი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ უარი განაცხადა, გაგზავნოს ჯარები ერაყში, რათა პირდაპირ დაუჭიროს მხარი ბაღდადის მთავრობას ისლამისტებთან ბრძოლაში. ამ გადაწყვეტილებამ პოლიტიკოსების მხრიდან მკაცრი კრიტიკა გამოიწვია, ისინი ფიქრობდნენ, რომ ბოევიკების ძალისხმევა აუცილებლად მიგვიყვანს ახალ ტერორისტულ აქტებამდე. ირანთან შესაძლო პარტნიორობას ტერორისტების წინააღმდეგ ადარებენ ამერიკის შეერთებული შტატების კავშირს სტალინთან ჰიტლერის წინააღმდეგ.

* * *

კენიაში „აშ-შაბაბის“ ბოევიკებმა დაწვეს სასტუმროები და ცეცხლი გაუხსნეს გამვლელებს: ათობით დაღუპულია

კვირა საღამოს დაახლოებით ორმოცდაათმა ისლამისტმა, რომლებიც სავარაუდოდ კენიაში სომალიდან ჩამოვიდნენ, შეუტიეს ზღვისპირა ქალაქ მპეკეტონის. ყვირილით „ალაჰ აკბარ“ მათ დახოცეს რამდენიმე ათეული გამვლელი. დაიღუპა სულ ცოტა 48 კაცი. დაზარალდნენ თუ არა თავდასხმის დროს ტურისტები არ იტყობინებიან.

* * *

ისრაელმა ხელში ჩაიგდო ორი რაკეტა, რომლებიც გაშვებული იყო 100-ათასიანი მოსახლეობის ძალაძის მიმართულებით, და განახორციელეს საპასუხო დარტყმები ღაზაზე

ისრაელის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემამ „რკინის თაღი“ კვირა საღამოს ხელში ჩაიგდო ორი რაკეტა, რომლებიც მიდიოდა ქალაქ აშკელონისაკენ ქვეყნის სამხრეთით. პასუხად ისრაელის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, დარტყმა მიაყენეს ხუთ ობიექტს ღაზის სექტორში, სადაც აწარმოებდნენ და ინახებოდა იარაღი პალესტინელი ტერორისტებისათვის.

ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი №1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარიანის მიმდებარე ტერიტორია, მდ. დიდ ლიახვზე „ლიახვის" ჭალა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C1 + C2, მოსაძიებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 90 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვარიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 068 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 206,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 614 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს ჰიფსომეტრიულად მაღალი ნიშნულიდან დაბლისაკენ, მოქმედი ტექნიკური უსაფრთხოების წესებისა და ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგის ფენა და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისას უნდა გამორიცხოს ობიექტის ბურღვა-აფეთქებითი მეთოდით დამუშავება, ვინაიდან მაქსიმალურად გამორიცხოს აფეთქებისაგან გამოწვეული ნეგატიური მოვლენები; დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფეურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია, „ფონეთის" ტბენიტის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 500 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ოფეურჩხეთის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	10 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის დამუშავება უნდა განხორციელდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმისათვის მიღებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით. ბ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგი და ფუჭი ქანი უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) კარსტული სიცარიელეების გახსნის შემთხვევაში, საჭირო გახდება მოპოვებითი სამუშაოების შეჩერება მანამ, სანამ არ დაზუსტდება სიცარიელეების პარამეტრები და აქედან გამომდინარე მუშაობის გაგრძელების შესაძლებლობა. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონები, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ხიბის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხამისქურის მიმდებარე ტერიტორია, „ცაიშის I" კარიერის (საკერე) საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 239 890 ტ).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ხიბის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხამისქურის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	16 887 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 688,7 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	3 577 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი №4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტი უნდა დამუშავდეს ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის წარმოებისათვის მორეგულირებული ტექნიკური უსაფრთხოების ნორმებისა და წესების დაცვით. ბ) ობიექტზე არსებული ნიადაგის ფენა უნდა მოიხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია, „დოღლიაურის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 230 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. აგარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	32 889 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	3288,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	6 778 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
	დრო და თარიღი	
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	4 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №23		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდები და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). გ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ჩოლაბურზე „არგვეთის" ქვიშა, ხრეშის საბადო (კატეგორია - C1, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 83 100 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, სოფ. არგვეთას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	11 143 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 114,3 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 429 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00

	თარიღი	საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №24		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ობიექტის ფარგლებში არსებული ნიადაგის საფარი უნდა მოეხსნას და დასაწყობდეს ტერიტორიის შემდგომი რეკულტივაციის მიზნით. ბ) ობიექტის დამუშავება უნდა მოხდეს მაღალი პიფსომეტრიული ნიშნულიდან დაბალის მიმართულებით, ქვეყანაში მოქმედი სამთო საქმის ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების და წესების დაცვით. გ) სალიცენზიო ობიექტის დამუშავებისას აიკრძალოს ხეების ვალაპოტში ფუძე ქანის ჩაყრა დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ე) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარაქოის მიმდებარე ტერიტორია, დარაქოის თიხიანი კონგლომერატების (საშენი მასალა) გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 101 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. დარაქოის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	10 000 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1 000 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	2 200 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №25		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაჩნაძიანის (მრომა) მიმდებარე ტერიტორია, მდ. ვაჩნაძიანზე (მრომისხევზე) ჭიმა, ხრეშის საბადო (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 20 400 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვაჩნაძიანის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	3 316 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	331,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	863 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №26		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერიმეტრიც, ასევე ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყარის დაკაჭაგება; ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაპანახჩის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კაპანახჩის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	224 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №27		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ–ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მო-პოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აქლით ან მის გარეშე. დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების ადების საშუალება. ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის

		ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) უნდა აღიკვეთოს ჭაბურღილიდან წყლის უმიზნოდ დაფერა. თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურტლიარის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 3 650 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. კურტლიარის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	118 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	11,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	224 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №28		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.ბ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა სამუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის აუვლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის და ჭაბურ-ღილის თავმორთულობის მოწესრიგება, ხოლო თვითმდენი ჭაბურღილის შემთხვევაში – მისი პერმეტიზაციაც. ლიცენზიის მფლობელი ასევე ვალდებულია უზრუნველყოს წყაროს დაკაპტაჟება; ზ) უნდა განხორციელდეს ჭაბურღილის გარეშემო 1-1,5 მ-ის დიამერტრზე ბეტონის დახმა; თ) ლიცენზიის მფლობელმა მოქალაქეებს არ უნდა შეუზღუდოს სალიცენზიო ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. ი) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). კ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. საღოლაშენის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 10 000 მ³/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. საღოლაშენის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	81 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	8,1 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	216 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	2 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №29		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.ბ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტი სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამბაროვკა, მდ. მტკვარზე „ამბაროვკის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 594 600 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ამბაროვკა
8	აუქციონის საწყისი ფასი	79 728 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	7 972,8 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	16 146 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00
	თარიღი	საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში
ობიექტი №30		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.ბ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 43 95 57
3	ელ-ფოსტა	Licenziebi@yahoo.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევი, მდ. კისისხევზე „კისისხევის" ქვიშა, ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 15 000 მ³).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. კისისხევი
8	აუქციონის საწყისი ფასი	2 609 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	260,9 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	722 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2014 წლის 17 ივნისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2014 წლის 17 ივლისს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2014 წლის 17 ივლისს დღის 18.00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

◎ მუნდიალი – 2014

გოლებს ზაფხულშიც ითვლიან

მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატზე პირველი ტურის შეხვედრები დღეს სრულდება, რაც საშუალებას გვაძლევს საშუალედო დასკვნები გამოვიტანოთ.

უპირველესად, აღსანიშნავია, რომ, როგორც იქნა, დაიმსხვრა კარგა ხნის განმავლობაში დამკვიდრებული კლიშე – აქაოდა, სპეციფიკური კლიმატისა და მარათონული დისტანციის გამო გრანდები ნახევარი ძალით ჩაებმებიან ტურნირში და პრაგმატული თამაშით მოუფრთხილდებიან როგორც ფიზიკურ, ისე ფსიქოლოგიურ რესურსებსო. ეს რომ ასეა, ბრაზილიური ფორუმის ისეთი შედეგიანობაც ადასტურებს, როგორსაც, მომქანცველი სეზონის გათვალისწინებით, ცოტა ვინმე თუ წარმოიდგენდა.

ტემპიანმა იერიშებმა, ნებსით თუ უნებლიედ, უკანა პლანზე გადაწია დაბალი დონის მსაჯობის საკითხიც. დიახ, შაოსნები კვლავაც ცდებიან, მაგრამ როცა თვით ფეხბურთელები გულშემატკივარს საინტერესო სანახაობას სთავაზობენ, მას სკანდალებისთვის დრო თითქმის აღარ რჩება.

ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მეტისმეტად მკაცრად როგორ უნდა განვსაჯოთ ადამიანი – ამ შემთხვევაში მსაჯი, – როცა ზოგიერთ ეპიზოდში თვით ტექნიკაც კი უძლურია.

მიხვდით, ალბათ, რომ საფრანგეთისა და ჰონდურასის გუნდების მატჩისას მომხდარ იმ ფაქტს ვგულისხმობთ, სამფეროვანთა მეორე გოლის ჩათვლა-არჩათვლას რომ შეეხებოდა და ამ დროს ერთმა სისტემამ ხაზის გადაკვეთა დააფიქსირა და მეორემ – არა. სხვათა შორის, ამავე ბრძოლას უკავშირდება ერთი კურიოზიც – კერძოდ, გაურკვეველი მიზეზების გამო ორგანიზატორებმა ვერ უზრუნველყვეს ამ ქვეყნების სახელმწიფო ჰიმნების შესრულება(?). ვისურვოთ, რომ მეტ პრობლემაზე აღარ გვესაუბროს, ახლა კი, მოდით, სასტარტო დღეების შედეგებს გავეცნოთ.

„ა“ ჯგუფი
ბრაზილია – ხორვატეთი 3:1, მექსიკა – კამერუნი – 1:0.

„ბ“ ჯგუფი
ჰოლანდია – ესპანეთი 5:1, ჩილე – ავსტრალია 3:1.

„გ“ ჯგუფი
კოლუმბია – საბერძნეთი 3:0, კოტ დივუარი – იაპონია 2:1.

„დ“ ჯგუფი
იტალია – ინგლისი 2:1, კოსტა-რიკა – ურუგვაი 3:1.

„ე“ ჯგუფი
საფრანგეთი – ჰონდურასი 3:0, შვეიცარია – ეკვადორი 2:1.

„ვ“ ჯგუფი
არგენტინა – ბოსნია 2:1.

გიორგი შოთაძე

◎ კრივი

ითითო „ოქრო“, „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

ასეთი ნადავლით დაბრუნდა საქართველოს მოკრივეთა ნაკრები (მთავარი მწვრთნელი დავით წიკლაური) ბელარუსიდან, რომლის დედაქალაქშიც ვიქტორ ლივენცევის სახელობის A კატეგორიის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდა. ჩვენებურთაგან ხუთი სპორტსმენი ჩაება შეჯიბრებაში. ორი მათგანი, როგორც უკვე გაუწყეთ, პირველივე წრეში ჩამოშორდა ასპარეზობას. განსაკუთრებით მძიმე წონაში ევროპის ბრინჯაოს პრიზიორმა მიხეილ ბახტიძემ გამოიჩინა თავი: მეოთხედფინალში მან ყაზახ მაგზან ბაზარბაის და ნახევარფინალში მასპინძელ რუსლან კაკუშინს მოუგო, ფინალში კიდევ ერთი ბელარუსი დაამარცხა და ოქროს მედალი დაიმსახურა. 69 კილოში, ასევე, ევროპის მესამე პრიზიორი ზაალ კვაჭატაძე გზიდან მოლდოველი ბორის ტერეზისა და ბელარუსი ალექსეი ჰალტიხის ჩამოშორების შემდეგ ფინალში გავიდა, მაგრამ ტრავმირებული ხელით ვერას გახდა, გადამწყვეტი პაექრობა დათმო და ვერცხლის მედალი ერგო. 81 კილოში რომან თავაძე მესამე ადგილზე გავიდა.

გივი გაგუა

სურათზე: საქართველოს ნაკრები მინსკში.

◎ ფარიკაობა

ევროპაზე ვერ იყოჩაღეს

ხუთი ქართველი მოხმალავე გამოდიოდა სტრასბურგში მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატში. მათგან 21-წლამდელებში ევროპის ჩემპიონმა სანდრო ბაზაძემ ჯგუფში ხუთიდან სამი შეხვედრა მოიგო და ორი პაექრობა დათმო, თუმცა პლეი ოფში მაინც გავიდა, სადაც პირველ ორთაბრძოლაში პოლონელ დამლა სკუბიშევსკის სძლია – 15:9, მეორე წრეში კი თავად დანებდა ბელარუს ალექსანდრ ბუიკევიჩს – 7:15 და საბოლოოდ 27-ე ადგილზე გავიდა. ბაზაძეს 6 საფეხურით ჩამორჩა მიხეილ მარდალეიშვილი. ჯგუფში მანაც სამი გამარჯვება მოიპოვა, თუმცა 64 საუკეთესოში პირველივე შეხვედრა წააგო ბელარუს ვალერი პრიემკასთან - 10:15.

თეოდორა კახიანი 41-ე, ბექა ბაზაძე 46-ე და ლუკა ობოლაძე 58-ე ადგილებზე გავიდნენ. ჩემპიონი გახდა რუსი ალექსეი იაკიმენკო, რომელმაც ფინალში თანაგუნდელი ვენიამინ რეშეტნიკოვი დაამარცხა – 15:11.

საქართველოს დედაქალაქი 24-28 ივნისს 23-წლამდელ მოფარიკავეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ხმალში საპრიზო ადგილებისთვის თეოდორა კახიანი, სანდრო ბაზაძე, მიხეილ მარდალეიშვილი, საბა სულამანიძე და ლუკა ობოლაძე იბრძოლებენ.

ლექსო ცინცაძე

◎ წყალბურთი

ბარსელონიდან – ვენაში

კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში გამართული საწვრთნელი შეკრების შემდეგ საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ავსტრიის დედაქალაქ ვენაში საერთაშორისო ტურნირზე მოსინჯა ძალები. ჩვენები მეტოქეობას უწევდნენ სლოვაკეთის, ჰოლანდიის და რუმინეთის ნაკრებ გუნდებს. **პირველ ტურში** ქართველები რუმინელებს დაუზავდნენ – 10:10 (0:2, 5:2, 3:2, 2:4), სლოვაკებმა ჰოლანდიელებს მოუგეს – 14:8 (4:2, 3:2, 3:2, 4:2). **მე-2 ტური.** საქართველო – სლოვაკეთი – 13:12 (4:4, 2:2, 3:2, 4:4), რუმინეთი – ჰოლანდია 10:8 (2:4, 2:2, 3:1, 3:1). **მე-3 ტური.** საქართველო – ჰოლანდია 7:14 (2:3, 1:3, 2:4, 2:4), რუმინეთი – სლოვაკეთი 9:8 (4:2, 0:0, 1:2, 4:4). ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე რუმინელები (7 ქულა) და ქართველები (4 ქულა) გავიდნენ. მათი ფინალური შეხვედრა კარპატელებმა მოიგეს 13:7 (4:1, 4:1, 2:3, 3:2) და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს. მე-3 ადგილისთვის პაექრობაში სლოვაკებმა ჰოლანდიელები დაჯაბნეს – 9:5 (2:1, 4:0, 1:2, 2:2).

ივნისის მიწურულს საქართველოს ნაკრები თბილისში დედაქალაქის თასის გათამაშების ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება.

ლაშა დიდია

◎ სასწაული

მიხაელ შუმახერი კომიდან გამოვიდა

„ფორმულა 1-ის“ შვიდგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი კომიდან გამოვიდა და გრენობლის საავადმყოფო დატოვა. ამის შესახებ ოჯახის წევრებმა განაცხადეს.

ამასთან, გერმანელი პილოტის ოჯახის წევრების განცხადებით, 45 წლის მიხაელ შუმახერი სარეაბილიტაციო კურსს საავადმყოფოს გარეთ, საზოგადოებისთვის დაფარულ ადგილას გააგრძელებს.

„მადლობას ვუხდით ყველა იმ ადამიანს, რომელიც მიხაელს ამ ხნის განმავლობაში კეთილი სურვილებით სავსე წერილებს უგზავნიდა. ეს მას ძალიან დაეხმარა. მისი მომავალი რეაბილიტაცია საზოგადოების მონაწილეობის გარეშე წარიმართება, რის გამოც გთხოვთ, მოთმინებით მოეკიდოთ ამას“, – ნათქვამია მიხაელ შუმახერის ოჯახის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

გერმანელი პილოტის ოჯახის წევრებმა ასევე მადლობა გადაუხადეს ექიმებს.

„შუმიმ“ უმძიმესი ტრავმა საფრანგეთის ალპებში, თხილამურებით სრიალისას გასული წლის 29 დეკემბერს მიიღო. დეკემბრიდან მოყოლებული ექიმები მას ხელოვნურ კომაში ამყოფებდნენ.

მიხაელ შუმახერმა 19-წლიანი კარიერა 2012 წელს დაასრულა.

◎ კალათბურთი

„სან ანტონიო“ ღირსეული ჩემპიონია!

„სან ანტონიო სფურზი“ ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის გამარჯვებული მეხუთედ გახდა. გრეგ პოპოვიჩის შეგირდებმა ფინალურ სერიაში „მაიამი ჰითი“ 4:1 დაამარცხეს და ფლორიდელებს მოქმედი ჩემპიონის ტიტული ჩამოართვეს.

ტეხასელებმა მე-5 შეხვედრა უპრობლემოდ – 104:87 მოიგეს და ფინალში საშუალოდ 14 ქულის სხვაობით იმარჯვეს, რაც გადამწყვეტი სერიებისთვის სარეკორდო მაჩვენებელია. რეკორდულია ქულათა ჯამური მაჩვენებელიც – 528:458 (+70).

ფინალში „სფურზის“ კალათბურთელებს 52.76%-იანი (191 362-დან) რეალიზაცია ჰქონდათ და ესეც ნბა-ში 24-წამიანი ათვლის შემოღების შემდეგ საუკეთესო შედეგია.

გუშინ გამართულ მატჩში სტუმრებმა ბრძოლის იმიტაცია მხოლოდ პირველ მეოთხედში შექმნეს, რომელიც ლებრონ ჯეიმსის წინამძღოლობით (მან საწყის ტაიმში 20 ქულა ჩააგდო, სულ კი – 31) 29:22 მოიგეს, შემდეგ კი მასპინძელთა უპირატესობა შთამბეჭდავი გახდა.

შედეგად, „სან ანტონიომ“ გასული სეზონის ფინალურ სერიაში განცდილი მტკივნეული მარცხისთვის რევანში აიღო და „ოქროს ბეჭდები“ შვიდწლიანი პაუზის შემდეგ მოირგო. „სფურზს“ საჩემპიონო თასი ნბა-ს კომისიონერმა ადამ სილვერმა გადასცა.

ფინალური სერიის უძვირფასესი მოთამაშე (MVP) 22 წლის კავაი ლეონარდი გახდა (იგი ლეგენდარულმა ბილ რასელმა დაჯილდოვა), რომელიც ტიმ დანკანის ერიდან მოყოლებული (1999 წელი) ჯილდოს ყველაზე ახალგაზრდა მფლობელია. დასკვნით სამ შეხვედრაში ამერიკელი ფორვარდი 29, 20 (14 მოხსნა) და 22 ქულას (10 მოხსნა) აგროვებდა. საერთოდ, აღნიშნული ჯილდოს ყველაზე ახალგაზრდა ლაურეატი მეჯიკ ჯონსონია, რომელსაც ეს პატივი 20 წლის ასაკში ერგო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

პადოვა მოიგო და ლონდონს ეწვია

იტალიურ პადოვაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) წყვილებში მასპინძელ ბარბიერისთან ერთად მეორე ნომრად იყო განთესილი თბილისელი სოფიო შაფათავა. ქართულ-იტალიურმა ინტერნაციონალურმა დუეტმა ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოიგო, მათ შორის ნახევარფინალში მესამე განთესვის მქონე ამერიკელებს – ლუიზა ჩირიკოს და სანაზ მარანდის სძლია – 2:6, 6:4, 10:6, გადამწყვეტ პაექრობაში კი ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს – პაულა კრისტინა გონსალესსა (ბრაზილია) და ფლორენცია მოლინეროს (არგენტინა) აჯობა – 6:4, 0:6, 14:12 და მთავარი პრიზი მოიპოვა.

სოფიო შაფათავა ამჟამად ლონდონშია და უიმბლდონის საკვალიფიკაციო ბადეში ჩაებმება.

ლევან ნარსია

◎ უძველ დღეების ქრონიკა

ამოუცნობი ნაცნობი...

შევნატრი **იმათ, ცოცხალი გალაკტიონი რომ უნახავთ, უსაუბრიათ „პოეტების მეფესთან“... გვარიანად ხანმოთეულია უკვე ეს ხალხი... ხანმოთეულია (რვა ათეული გაასრულა) ამ გენიალური (თენგიზ აბულაძის აზრით) წიგნის ავტორიც — გამორჩეული პოეტი და საზოგადო მოღვაწე ვახტანგ ჯავახაძე, რომელსაც ბედმა არგუნა, რომ მრავალი წლის წინათ გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლექსების რედაქტორი ყოფილიყო და, რაკი საქმე მოითხოვდა, ხშირად შეხვედროდა, ხშირად ესაუბრა ჭეშმარიტ სახალხო პოეტთან, სრულიად „სხვა კაცთან“.**

შეგნატრით ბატონო ვახტანგ!..

ამ შეხვედრებმა მცირეოდენი ჩანაწერებიც აკეთებინა ვახტანგ ჯავახაძეს, ერთ დღეს კი გაბედა და გულდაგულ შეუდგა იგი გალაკტიონის აპოლოგიას, რომელსაც **„უცნობი“** დაარქვა. შეუდგა საქმეს, მაგრამ რისი იმედით? ვისი იმედით? რა თქმა უნდა, ძირითადად, არქივის წყალობით.

„პატარ-პატარა აღმოჩენებითა და კითხვის ნიშნებით დანაღმული სამჯერ ათი წელიწადი გავიდა და არ მომწყინდა პოეტის ცხოვრებისათვის დაუღლაგებელი არქივის ქაოსის ჰარმონია, რომელმაც ბებერ მსახიობს დამამსგავსა და სცენის მტვერივით მომატარა არქივის მტვერი“ — **წერს ვახტანგ ჯავახაძე, აგერ, ახლახან, უკვე მეხუთედ გამოცემული, ახალ-ახალი ვარაუდებითა და ეპიზოდებით შევსებული „უცნობის“ ბოლოთქმაში.** პირველი კი, ამ ოცდაათი წლის წინათ გააცნო მან ქართველ მკითხველს, თითქოს, ყველასათვის ასე ნაცნობი, სათაყვანო პოეტის სრულიად უცნობი ცხოვრება....

„გალაკტიონი იმდენად მარტოსული გახლდათ, იმდენად თავისებური და განსხვავებული, — მასთან დაახლოება და გაშინაურება, მისი გაცნობა და შეცნობა, შეუძლებელი იყო... მეამაყება და გვეამაყება გალაკტიონის თანამედროვენი რომ ვიყავით, მაგრამ ნუ დავივიწყებთ: გალაკტიონმა ჩვენს თვალწინ მოიკლა თავი, დღისით, მზისით, და ეს მკვლელობა უფრო იყო, ვიდრე (თვით)მკვლელობა, — და სწორედ ამ მხილების გამო აკრძალეს და ჩამოიღეს საბეჭდი მანქანიდან „უცნობის“ პირველი ვარიანტი 1985 წელს“, — წერს ავტორი.

თუმცა „უცნობი“ მაინც გამოვიდა.. ხელიდან ხელში გადავიდა და ბოლოს და ბოლოს, გავიცანით „გენიალური უცნობი“...

როგორ არ შეაქეს მისი ავტორი: „ვახტანგ ჯავახაძის „უცნობმა“ წმინდა ტაძარში შეგვიყვანა“, — წერს გურამ დოჩანაშვილი. „უცნობის“ მსგავსი წიგნი საუკუნეში ერთხელ იწერება“ — წერს მიხეილ ქვლივიძე. თენგიზ აბულაძემ რომ „უცნობს“ გენიალური წიგნი უწოდა, ამაზე უკვე ზემოთ მოგახსენეთ. შექება-შეფასებები უამრავია, თუმცა, საქართველოში რა არ ხდება? მე სახელმწიფო პრემიების კომიტეტის კარგა ხნის წინანდელი „შეფასებაც“ ვიცი (ბევრმა იცის). უსაშველოდ დასწყვიტეს მაშინ გული „უცნობის“ ავტორს — ხმები დააკლდა „ახლო მეგობრებისგან“, რომ რუსთაველის პრემია მინიჭებოდა, თუმცა, როგორც იტყვიან, სამართალმა პური ჭამა, მოგვიანებით, ვახტანგ ჯავახაძემ მაინც მიიღო ეს დიდად საპატიო ეროვნული ჯილდო!

რა ხდება გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზიის ცის კაბადონზე? წიგნის დასასრულს ავტორი გვეუბნება, რომ გალაკტიონის შემდეგ ქართული პოეზია წავიდა და მიდის გალაკტიონის გზით. თითქოს სხვა გზა არ ჩანს. თითქოს გალაკტიონმა მაქსიმალურად ამოწურა თანამედროვე პოეტური სიტყვის შესაძლებლობანი... ჩვენი საუკუნის ყოველი საინტერესო პოეტი გალაკტიონის მრავალწახნაგოვანი ლირიკის ამა თუ იმ მხარეს აგრძელებს და ავითარებს თავისებურად. — არ მეგულება ჩვენს თანამედროვეობაში მეტ-ნაკლები შესაძლებლობის, განათლებისა და გაქანების პოეტი (რა თქმა უნდა, ჩემი ჩათვლით), გალაკტიონის გავლენა რომ არ განეცადოს, — მიიჩნევს ოთარ ჭილაძე. მეოცე საუკუნის ქართული პოეზია უკვე დაყოფილია ორ მკაფიო ბანაკად: გალაკტიონი და სხვები, გალაკტიონი და დანარჩენები, გალაკტიონი და გალაკტიონის შემდეგ... მთელი საუკუნის პოეზია გალაკტიონის ინტონაციითაა გამსჭვალული: ვისაც გალაკტიონის სხივი არ გაჰკარებია, ღირებულიც არაფერი შეუქმნია... გალაკტიონმა ბევრი საიდუმლო ამოგვიხსნა, კითხვის ნიშნებიც ბლომად დაგვიტოვა.

მისი მკითხველები ჯერ არ დაბადებულან!

ხედავთ? რატომ არ დაბადებულან და რა ხდება, ამას 850-გვერდიანი ვახტანგ ჯავახაძის „უცნობი“ გაგვაცნობს, რომელსაც გენიალური წიგნი უწოდა გენიალურმა ქართველმა რეჟისორმა თენგიზ აბულაძემ.

არ გჯერათ?! წაიკითხეთ, წაიკითხეთ!

მნათე ერის სამრეკლოსი

განგაშის ზარის დამრისხებელი და ერის სამრეკლოზე მდგარი თუ ვინმე გვყავდა — კომუნისტურ ეპოქაში, უპირველესად, ეს კიტა ბუაჩიძე იყო — ცნობილი დრამატურგი და პუბლიცისტი, რომლის მრავალტანჯულ ცხოვრებასა და სამწერლო საქმიანობას, ნიადაგ „ერის წყლული აჩნდა წყლულად“. როცა ქართული მწერლების ერთ ნაწილს ყურზე ეძინა და მშვიდად გრძნობდა თავს, კიტა ბუაჩიძის სატირული კომედია „ეზოში ავი ძაღლია“ დაუნდობლად ამათრახებდა ჩვენი ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს და გვაფრთხილებდა, რომ ასეთი ყოფა კარგს არაფერს მოგვიტანდა. ვინ იცის, რა სასიკეთოდ წაადგებოდა ჩვენს ზნეობასა და ეროვნული სულის სიჯანსაღეს, თავის დროზე ხელისუფლებას რომ „გაერისკა“ და კიტა ბუაჩიძის ნაღველითა და რისხვით აღვსილი, ქართველი კაცის მანკიერებათა სააშკარაოზე გამომტანი „შავი წიგნი“ გამოეცა?! მაინც თავისი ქნა, როგორც თვითონ ამბობდა, „სამიზდატით“ „გამოსცა“ რამდენიმე ათეული ცალი და მრავალშვილიან ოჯახებს დაუგზავნა საჩუქრად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. და კიდევ, იცით, წიგნთან ერთად რა გაუგზავნა მან ზოგ მრავალშვილიან ხანმოკლე ოჯახს? კაპიკ-კაპიკ ნაგროვები ჰონორარი, სპექტაკლების შემოსავლის დანაზოგი...

...გულდამძიმებული დაემშვიდობა ბატონი კიტა საყვარელ სამშობლოს, მცირერიცხოვან მწერლებსა და პოეტებს, რომლებმაც „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილ გამოსათხოვარში „საუკუნის სინდისი“ უწოდეს სამაგალითო უფროს კოლეგას...

დაემშვიდობა ბატონი კიტა ცხოვრების საღამო ჟამს წვეულ სიყვარულსაც — ქალბატონ **თინათინ ბარამიძეს,** რომელმაც ყველაფერი იღონა, რომ კიტას შემოქმედება ერთიანად გამოეტანა დღის სინათლეზე. ახლახან კი ბოლო უზარმაზარი ტომი კიტა ბუაჩიძისა — პუბლიცისტური ხელნაწერების კრებული გამოსცა და ამით, ჭეშმარიტად, ვალი მოიხადა საყვარელი მეუღლის წინაშე.

რა თქმა უნდა, ქალბატონ თინა ბარამიძის ინიციატივითა და „რეპრესირებული მწერლების“ მართლაც რომ ჭირისუფლის, დოკუმენტური პრიზის ოსტატის ბატონ **რევაზ კვერენჩხილაძის** თანადგომით, გასულ შაბათს საჯარო ბიბლიოთეკის ერთ-ერთ დარბაზში გაიმართა კიტა ბუაჩიძის ხსოვნის საღამო, რომელსაც დიდი შთაგონებით უძღვებოდა თავად რეზო კვერენჩხილაძე, ხოლო გამომსვლელები — ბატონი კიტას ნიჭისა და პიროვნების დამფასებელი ცნობილი არქეოლოგი ჯუმბერ კოპალიანი, პოეტი დავით შემოქმედელი, პროფესორი ნოდარ ტაბიძე და სხვები, დიდი სითბოთი საუბრობდნენ ბატონი კიტას და მისი ჭეშმარიტად გაუხუნარი შემოქმედების შესახებ.

„ახალგაზრდობა უნდა ესწრებოდეს ამ საღამოს, ახალგაზრდობა, რომ მამა-პაპის ფასი მეტად გაიგონონ!“ — ცოტა გულნაკლული იყო რევაზ კვერენჩხილაძე. თუმცა, რაც იყო, კარგი იყო!

ვილენ მარდალეიშვილი

რიკოთზე საავტომობილო მოძრაობა თავისუფალია

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს , რიკოთის საულელტეხილო მონაკვეთზე მეწყერსაშიში ზონა ამ ეტაპისთვის შემოფარგლულია და მიმდინარეობს პრევენციული სამუშაოები, რაც მოიცავს მთის ფერდობის გაწმენდას მსხვილი ქვებისა და გადმოწოლილი ხეებისაგან.

— აღნიშნული სამუშაოებიდან გამომდინარე საავტომობილო გზის 146-ე კმ-ზე შეზღუდვები 3-5 წუთით წესდება. გაწმენდით სამუშაოებს ალპინისტთა ჯგუფი აწარმოებს, რომელიც გზის მოვლა-შენახვის კონტრაქტორი კომპანიის მიერ არის დაქირავებული, — აცხადებენ დეპარტამენტში.

მათივე ინფორმაციით, მთის ფერდის გაწმენდითი და პრევენციული სამუშაოები დღეს სრულად დასრულდება.

სანთელი

გივი კვიჭიძის გახსენება



გვიმძის წარსულში მოგიხსენიოთ, არადა რა მალე გავიდა 40 დღე, გაქრა ძველებური ხალისი, გაუსაძლისია უშენობის ტკივილი...

შენ დააკლდი ჩვენს დიდ ოჯახს, სამეგობროს, დედაქალაქს შენი ღირსეული ცხოვრებით, ზნეკეთილობით, თავმდაბლობით, იშვიათი გულისხმიერებით, მოყვასის უსაზღვრო სიყვარულით, ადამიანებთან ლაღი, კეთილგანწყობილი ურთიერთობით, მეგობრების გატანით და ერთგულებით, მადლით, ჭირსა და ლხინში თანადგომით, ბოროტების წილ სიკეთის ქმნის სურვილით, მიმტევებლობით, კაცთმოყვარეობით და მაღალზნეობრიობით, სხვისი ღვაწლის დაფასებისა და პატივმიგების უნარით, უშრეტი ოპტიმიზმით, უდიდესი პიროვნული ხიბლით...

ჩვენ კი ღმერთზე მინდობილნი ვლოცულობთ შენთვის... მხოლოდ ეს გვაძლევს სულის სიმტკიცეს და გვიმსუბუქებს მწუხარებას...

გივი კვიჭიძის ოჯახი

მეუღლე ლელა ლომინაძე, შვილები ნინო, მარიამ, გიორგი გველესიანები, ძმები პაატა, ლევან გველესიანები ოჯახებით, სიმამრი ელიზბარ ლომინაძე, სიდედრი მედეა ჩიკვაიძე, ცოლისდა ნინო ლომინაძე, ცოლისძმები კახა, სულხან ლომინაძეები, ქვისლი გოჩა ასათიანი, რძლები თამრიკო ლაღიძე, თეა აბაშიძე ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა

ზაალ გიორგის ძე გველესიანი

პანაშვიდი 17, 18 VI, 17 სთ. ბახტრიონის ქ. 39, I სად. III სართ. ბინა 7 (შესასვლელი საბურთალოს ქუჩის ეკლესიის მხრიდან). გამოსვენება 19 VI, 15 სთ. საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან (იპოდრომთან).

ელიზბარ, ნინო, კახა, სულხან ლომინაძეები ოჯახებით იუწყებიან სიძის

ზაზა გველესიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 17 18 VI, 17 სთ. ბახტრიონის ქ. 39, I სად. III სართ. ბინა 7, შესასვლელი საბურთალოს ქუჩის ეკლესიიდან. გამოსვენება 19 VI, 15 სთ. საბურთალოს ქუჩაზე მდებარე ანტონ მარტყოფელის ეკლესიიდან (იპოდრომთან).

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ელიზბარ ლომინაძის დიდ ოჯახს სიძის

ზაალ გველესიანის

გარდაცვალების გამო.

მეუღლე ჯემალი, შვილები დათო, თინიკო, სიძე ირაკლი, რძლები სოფო, ნატო, ნანა, შვილიშვილები, ძმები ზურაბი, ბორია, და დალი, ძმისწულები თამრიკო, სოფიკო, ანა, მაზლისცოლი ნარგიზი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნანა ივანეს ასული უნგიაძე-ბორცვაძე

დაკრძალვა 17 VI, 15 სთ. მისამართი: ზემო ვეძისის I ჩიხი №13.

◎ ინფორმაცია

ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანი ჩამოინგრა

ოზურგეთში, ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის გალავანი ჩამოინგრა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი იუწყება გალავნის ჩამონგრევის შედეგად არავინ დაშავებულა. დაზიანდა მხოლოდ ეკლესიის ქვემოთ მდებარე საფლავები.

ოზურგეთის მოსახლეობა გალავნის ჩამონგრევას ბოლოდროინდელ სტიქიურ მოვლენებს უკავშირებს.

გალავნის აღდგენა ამ დღეებში იგეგმება.

ოზურგეთში, ექადიას წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია რამდენიმე დღის წინ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილიამ მეორემ გახსნა.

ინტერპრესი

◎ ჩვენი კარაბადინი

სასიკვდილო დარტყმა

როგორ ავიცილოთ თავიდან ინსულტის შედეგები

ძნელია ნახო ოჯახი, რომლისთვისაც სიტყვა „ინსულტი“ იყოს უბრალოდ სამედიცინო ტერმინი. ყოველწლიურად ათასობით ადამიანი ამ საშინელი დაავადების მსხვერპლი ხდება.

კატასტროფულია ინსულტის შედეგები: ავადმყოფების 80 პროცენტი კვდება ან რჩება ინვალიდად, გადარჩენილთა 50 პროცენტს სიცოცხლის მომდევნო 5 წლის განმავლობაში ხელმეორედ ემართებათ ინსულტი, მთლიანად მხოლოდ 10 პროცენტი ჯანმრთელდება. ინსულტს სიკვდილიანობის მიზეზების ანტირეიტინგის სიაში მეორე ადგილი უჭირავს, პირველობის პალმას მხოლოდ ინფარქტებს უთმობს.

რისკის მთავარი ფაქტორი – ესაა ასაკი: 75-85 წლის ასაკში ინსულტი 4-5 ადამიანიდან ემართება ერთს. მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ტვინის სისხლის მიმოქცევა მხოლოდ ხანდაზმული ადამიანების ხვედრია. უკვე 45-65 წლის ასაკში ინსულტი 30 ადამიანიდან უჩნდება ერთს. უფრო ახალგაზრდებს შორისაც არის რისკი, რომ 90000 ადამიანიდან ერთს შეიძლება დაერღვევს ტვინის სისხლის მიმოქცევა.



სახიფათო სიმპტომები

მეტად მნიშვნელოვანია, რომ ინსულტები 50-დან 70 პროცენტამდე ჩნდება რაიმე წინასწარი ნიშნის გარეშე. ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევას საწყის სტადიებში აქვს ერთობ „უწყინარი“ გამოვლინებანი, რომლებსაც ადამიანთა უმრავლესობა დაღლილობას, დეპრესიას, ამინდს, ეკოლოგიურ ვითარებასა და ა.შ. მიაწერს. მიუხედავად ამისა, ხანგრძლივი შეუძლოდ ყოფნა, თავბრუსხვევა და შაკიკის შეტევებიც კი – უკვე შეშფოთების საბაბია.

აი მხოლოდ ზოგიერთი ჩივილი, რითაც პაციენტები ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევით მიდიან მედიკოსებთან:

- **თვის ტკივილები, შაკიკი;**
- **თავბრუსხვევა, გულის წასვლები;**
- **ძილის დარღვევა;**
- **კოორდინაციის, წონასწორობის დარღვევა;**
- **საერთო სისუსტე, შეუძლოდ ყოფნა;**
- **კიდურების გაშეშება, მგრძნობელობის დაკარგვა.**

თავიდან ვიცილებთ რისკებს

ტვინის სისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს თერაპიის ადრე დაწყებას და რისკების ფაქტორების თავიდან აცილებას. გაზრდილი არტერიული წნევა, ქოლესტერინის მაღალი დონე სისხლში, მოწევა, ალკოჰოლის მიღება, ზედმეტი წონა, ფიზიკური აქტივობის უკმარისობა, სტრესი და გადაღლილობა – ყველა ეს ფაქტორი ნეგატიურად აისახება თავის ტვინის სისხლძარღვებზე და მნიშვნელოვნად ზრდიან ინსულტის ალბათობას.

ჯანმრთელობისკენ მიმავალ გზაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება კვების ჩვევების შეცვლა. ყოველდღიურ რაციონს აუცილებელია, დავუმატოთ პროდუქტები, რომლებიც ამცირებენ ქოლესტერინის დონეს და გვეხმარებიან გავააქტიუროთ ნივთიერებათა ცვლა: ხაჭო, სოია, ბრინჯი, ქერისა და ხორბლის ბურღული, უცხიმო ხორცი და თევზი, ხილი და ბოსტნეული. აუცილებლად უნდა შემოვიღოთ წესად გასეირნება სუფთა ჰაერზე. აი, სერიოზული ფიზიკური დატვირთვები კი უნდა შემოვიღოთ თანდათან.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ

იმათ, ვისაც მაღალი არტერიული წნევა აწუხებს ან გადაიტანა ინსულტი, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ფიზიკური დატვირთვის დონეს. მათ შორის – აგარაკზე მუშაობის დროსაც. თუ ვინმე თქვენი მახლობელი ცუდად გახდა: მოულოდნელად დაეცა, დაუსუსტდა მარჯვენა ფეხი და ხელი, დაერღვა მეტყველება– მისთვის დაუყოვნებლივ გამოიძახეთ „სასწრაფო დახმარება“. ექიმის მოსვლამდე ავადმყოფი უნდა დავაწვინოთ, თავქვეშ დავუდოთ ბალიში ისე, რომ კუთხემ თავსა და საწოლს შორის დაახლოებით 30 გრადუსი შეადგინოს. ასეთივე მდგომარეობა უნდა იყოს ავადმყოფის ტრანსპორტირების დროსაც.

აუცილებლად ამოუღეთ მას პირიდან მოძრავი პროთეზები, გაუხსენით საყელო, ქამარი, შარვალი. უზრუნველყავით ჰაერის შემოსვლა – გააღეთ ფანჯარა. თუ ავადმყოფს აქვს პირღებინება, შეუბრუნეთ თავი გვერდზე, გაუწმინდეთ პირის ღრუ (სუფთა ცხვირსახოცით ან ბინტით შეხვეული თითით) პირღებინების მასისგან. გამორიცხულია თვითმკურნალობა: კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ავადმყოფისთვის ექიმთან კონსულტაციის გარეშე არ შეიძლება ისეთი წამლის მიცემა, რომლებიც ტვინის სისხლძარღვებსა და სტრუქტურებზე მოქმედებენ.

სპეციალისტის კომენტარი

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი მბრინე კაპანაძე:

– ტვინის მუშაობაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას: ცხოვრების წესიდან დაწყებული და ტვინის უჯრედების სწორი კვებით დამთავრებული. ხშირად არ არის საკმარისი სასარგებლო პროდუქტების მიღება, ვინაიდან, მაგალითად, სტრესულ პერიოდში ორგანიზმს არ შეუძლია, დამოუკიდებლად გამოიმუშაოს ტვინის სრულფასოვანი მუშაობისთვის აუცილებელი ნივთიერებანი. ამჟამად არის ისეთი ნეიროპროტექტორების მნიშვნელოვანი რაოდენობა, როგორებიცაა ციტიკოლინი, ქოლინა ალფოსცერატი ან კორტექსინი. ეს პრეპარატები აუმჯობესებენ ინფორმაციის დამახსოვრების ან ტვინიდან ამოღების პროცესებს, ახდენენ ტვინის საქმიანობის სტიმულირებას, მათ იყენებენ ტვინის სისხლის მიმოქცევის დარღვევის კომპლექსურ თერაპიაში. მთელ რიგ კლინიკურ გამოკვლევებში სწავლობდნენ კორტექსინის გამოყენებას იშემიური ინსულტის როგორც მწვავე, ისე აღდგენითს პერიოდებში. მისი ეფექტიანობა დადასტურებულია მკურნალობის როგორც ჰოსპიტალამდე ეტაპზე, ისე კლინიკაში. მაგალითად, აფაზიის (მეტყველების დარღვევა) მოვლენები ავადმყოფს შესამჩნევად უქრება თერაპიის მე-3 დღისთვის, მე-5-7 დღისთვის დადებითი მხარისკენ იცვლება ფუნქციონალური მდგომარეობა, უმჯობესდება ავადმყოფის მოძრაობის უნარი და მკვეთრად მცირდება ნევროლოგიური სიმპტომების მძიმე გამოვლინებანი. კორექტინის მაღალი სარეაბილიტაციო პოტენციალი საშუალებას აძლევს პაციენტს ინსულტიდან ერთი წლის განმავლობაში შეინარჩუნოს ჯანმრთელობის მიღწეული მაჩვენებლები, განსაკუთრებით უზრუნველყოფილი ხდება თავის ტვინის კოგნიტიური თავისებურებების – მეხსიერების, ყურადღების, უნარის, გაგებისა და ა.შ. სტაბილურობა.

◎ მცირე ენციკლოპედია

მცენარე ჩიხში

აფრიკის სამხრეთში მდებარე უდაბნო ნამიბი გასაოცარ პარადოქსთა ქვეყანაა. ამ მხარეში ჰაერის ტენიანობა გაცილებით უფრო დიდია, ვიდრე დედამიწის რომელიმე სხვა კუთხეში, წვიმები კი, ამის მიუხედავად, ძალიან იშვიათია. სამაგიეროდ უდაბნოს მშრალ ქვიშაზე ყოველღამე სქელი ნისლი იშლება. აქ, მცენარეული საფარის, ფაქტობრივად, სრული უქონლობის პირობებში, უამრავ ადგილზე მდიდარი და მრავალნაირი ფლორის ნაკვალევია. მაგრამ, ნამიბის ყველაზე უცნაურობათა შორის გამორჩეული მაინც ერთი მცენარეა, რომლის კლასიფიცირება მეცნიერებმა დღესდღეობითაც ვერ შეძლეს. ესაა „ველვიჩია მირაბილის“ – უდაბნოს ერთ-ერთი უძველესი ბინადარი.

უდაბნოს მცენარეებს, რომლებიც ტენის შენარჩუნებას ყველა ხერხით ცდილობენ, როგორც წესი, ფოთლების მცირე ფართი აქვთ, რათა აორთქლება რაც შეიძლება ნაკლები იყოს. ველვიჩიის ფოთლები კი სიმაღლეში 6 მეტრზე მეტს, სიგანეში კი 2 მეტრს აღწევენ! ისინი მცენარეს ზღვის მხრიდან მოსული ნისლიდან ტენის შესაწოვად სჭირდება: ნისლის დროს ფოთლების პორები იშლება, ხოლო მას შემდეგ, რაც წყლის ორთქლი ქრება, საგულდაგულოდ იხურება. მცენარის წარმოშობა დღესდღეობითაც გამოცანად რჩება. ერთ-ერთი ჰიპოთეზით, ველვიჩია იმ დროს წარმოიშვა, როცა ნამიბი ტყეებით იყო დაფარული. ზოგიერთი ბოტანიკოსის აზრით, ველვიჩიის ევოლუცია ჩიხში მოექცა.

მწერთა რეკორდსმენები

ადამიანის, გნებავთ ცხოველის ძალას იმით განსაზღვრავენ, თუ რა ზომა-წონისაა და რა სამუშაოს შესრულების უნარი შესწევს.

ამ მხრივ მწერთა სამყაროა გამორჩეული, სადაც ნამდვილი „ჩემპიონები“ არიან. კერძოდ, ბუზს მასზე 17-ჯერ მძიმე ტვირთის გადატანა შეუძლია, ხოჭო მასზე 122-ჯერ მეტ წონას ერევა, ბზიკი - 300-ჯერ მეტს. თუმცა კი, რეკორდი ყურბანას ეკუთვნის - ეს მფრინავი „ტვირთმზიდი“ მასზე 500-ჯერ მძიმე წონას ერევა!

◎ კადრი



◎ ცინცხალი ანეკდოტები

– ღმერთო, რამდენია შენთვის ერთი მანეთი?
– მილიონი მანეთი.
– ღმერთო, რამდენია შენთვის ერთი წუთი?
– მილიონი წელიწადი.
– ღმერთო, მომეცი, თუ შეიძლება, ერთი მანეთი.
– კი, ჩემო კარგო! ერთ წუთში!

* * *

– ახლახან მოვრჩი ხუთდღიან დიეტას. – ეტრაბახება დაშა დაქალს.
– კი, მაგრამ გუშინ არ დაიწყე?
– ვადამდე მოვრჩი!

თანაკლასელთა შეხვედრისას ნათლად ჩანს, ვინ როგორ სწავლობდა და რას მიაღწია.

ოროსნებს ორი რამ აქვთ – ბინა და მანქანა.

სამოსნებს – სამი რამ – ბინა მანქანა და აგარაკი.

ხუთოსნებს – ხუთი რამ – სათვალეები, ვალები, სიმელოტე, თავის ტკივილი და უჟანგავი ლითონისგან დამზადებული ოქროს მეტალი.

* * *

– პორუჩიკო რჟევსკი, – ეუბნება ქალი, – ეჭვიც არ მეპარება თქვენს პოტენციაში, ამიტომაც ბილიარდის მორიგი პარტია, თუ შეიძლება, კიით ითამაშეთ.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა სარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24